



ბრძოლის კვამლე

სოციალდემოკრატიული ოკრუგის სპ. სოც.-დემ. მუშ. პარტ. ცენტრალური კომიტეტისა.

« L'ECHO DE LA LUTTE » — Revue mensuelle du Parti Social-Démocrate Ouvrier de Géorgie.

რედაქტორი კ. გვარჯალაძე.

Directeur C. Gvardjaladzé.

შინაარსი: 1) კ. გ.—ერთა თვითგამორკვევის უფლება; 2) კ. გ. ეკონომიური წერილები; 3) ბ. არიძე—სოციალ. ინტერნაციონალი; 4) ვრ. ურატაძე—ზოგი რამე; 5) პ. სარ-მე—ნგრევის პროცესი; 6) ვალ.—შრომის კონფედერაციის ყრილობა; 7) ემ. ლემ-მე—წერლი ჩეხოსლოვაკიიდან; 8) ნ. გლაუპისა—მოწოდება; 9) ვენ. ნინოშვილის დღე; 10) სამგ. ფურცელი.

მ ა რ თ ა თ ი ვ ი ბ ა მ ო რ ა კ ვ ი ვ ი ს . უ შ ლ ე ბ ა

მიუხედავად იმისა, რომ კონფერენციის გადაწყვეტილება ჩეხოსლოვაკიის შესახებ ყველამ ერთნაირად არ შეაფასა და აქედან სხვადასხვანაირი დასკვნები იქნა გაკეთებული. მაგრამ დიდი უმრავლესობისათვის საერთო იყო ერთი: კმაყოფილება და სიხარული იმის გამო, რომ ევროპას თავიდან ასცილდა საშინელი სისხლის ღვრა და მთლიანად განადგურება.

ოჰს და მის შედეგებს ბევრი ჩეხოსლოვაკიის დანაწილებას ამჯობინებდა; ეს მათთვის ნაკლები უბედურება იყო. ზოგნი კი, მიუხედავად იმისა, რომ არ სთვლიან ნორმალურად იმ პირობებს, რომელშიდაც მიუხედავად კონფერენციის ჰქონდა ადგილი, და არც ძალადობისადმი მიმართვა, ან ერთა თვითგამორკვევის პრინციპის და პლემბისციტის იდეის უარსყოფა არის მათთვის მისაღები, მაგრამ ჩეხოსლოვაკიის დაყოფას მაინც ამართლებენ. საბუთათ მოყვებით ის, რომ ევროპის კონფერენციამ ჩაიდინა უდიდესი უსამართლობა, როცა ჩეხოსლოვაკიის საზღვრებში ძალით და მთდა დაუკითხავად მოაქცია სხვადასხვა ეროვნებები და ამით შექმნა ამ ეროვნებათა შორის მუდმივი უკმაყოფილება და კონფლიქტების საბაბი. იგონებენ იმასაც, რომ ავსტრიის ცნობილი დემოკრატები და სოციალისტები წინააღმდეგი იყვნენ მაშინ სუდეტელ-გერმანელების ჩეხოსლოვაკიისადმი შეერთებისა და დაბეჯითებით მოითხოვედნენ მათთვის პლემბისციტს.

აღსანიშნავია აგრეთვე ერთი მეტად საყურადღებო ფაქტი: მიუხედავად იმისა, რომ გერმანიის და

ავსტრიის სოციალისტები სასტიკად ებრძვიან ეხლა პიტლერის რეჟიმს, ამ უკანასკნელი ხანის განმავლობაში არც წერილობით და არც სიტყვიერად მათ პროტესტი არ განუცხადებიათ სუდეტ-გერმანელების გერმანიასთან შეერთების წინააღმდეგ.

როცა პოლონეთმა ტემუნი შეიერთა, პოლონელი სოციალისტები ამას თანაგრძობით შეხედენ, მხოლოდ ჯარებით ოკუპაციის ფორმას თავაზიანად და მორიდებით აკრიტიკებდნენ.

უნგრეთში კი მიუხედავად კონფერენციის გადაწყვეტილებამ დიდი კმაყოფილება გამოიწვია; ყველანი, მათ შორის უნგრეთის სოც.-დემოკრატიაც, სრული იმედით აღივსენ, რომ ჩეხოსლოვაკიაში მცხოვრები უნგრელი თავიანთ კერას დაუბრუნებოდნენ და გამოსწორებულ იქნებოდა ის უსამართლობა, რომელიც ჩადენილ იქნა უნგრეთისადმი დიდი სახელმწიფოების მიერ ტრიაანონის ხელშეკრულობით.

ზემო აღნიშნულ სოციალისტურ პარტიების პოზიცია და გადაწყვეტილება ეროვნულ საკითხში განისაზღვრება შექმნილ მდგომარეობით და გამომდინარეობდა იმ სულისკვეთებიდან, რომელიც შეიქმნა მათ ქვეყნებში ჩეხოსლოვაკიაში მცხოვრებ მათი მშობისადმი. ეს პარტიები მასების ფსიხოლოგიას ანგარიშს უწყევდენ, მათთან ერთად მოქმედებდნენ და მათ ეგუებოდნენ.

ჩეხოსლოვაკიის ირგვლივ დატრიალებულ ამბებს ანგარიშს არ უწყევდენ რუსი და მათი აგენტები—ევროპიელი კომუნისტები. მათ აინტერესებდათ



არა საქმის მშვიდობიანად და კომპრომისის გზით მოგვარება, არამედ დასავლეთი ევროპის ფორმებზე კონფლიქტების გახსნა და იქ დიდი ქვეყნების ერთ მანეთთან დაჯახება. თვითონ ისინი, რასაკვირველია, ამ კონფლიქტებში არ ჩაეროდნენ და მონაწილეობას არ მიიღებდნენ, მაგრამ ომის ნაგრეგებზე კი კაპიტალის შექმნას შეეცდებოდნენ.

როცა ჩეხოსლოვაკიის ახალი სახელმწიფო იქმნებოდა, კომუნისტები მაშინ სასტიკი წინააღმდეგი იყვნენ სუდეტ-გერმანელების ჩეხოსლოვაკიის საზღვრების ფარგლებში მოქცევისა და მათთვის ისინი პლემბისციტს მოითხოვდნენ. ესლა კი ისინი პლემბისციტს არ ცნობდნენ და სუდეტ-გერმანელების ჩეხოსლოვაკიიდან ჩამოშორებას გადაჭრით ებრძოდნენ. კომუნისტებისათვის ხამ პრინციპი არ არსებობს და ამა თუ იმ მოვლენას და საკითხს ისინი უდგებიან იმ საზომით, რომელიც მათი მიზნების განსახორციელებლად გამოადგებათ.

ოქტომბრის რევოლუციამდე ბოლშევიკები რუსეთში ერთა თვითგამორკვევის უფლებას მხარს უჭერდნენ, რადგანაც ისინი ამაში ხედავდნენ რევოლუციურ ბრძოლის საშუალებას არსებული მთავრობის დასანგრევად. მაგრამ, როცა ბოლშევიკებმა ძალაუფლება ხელში ჩაიგდეს, ერთა თვითგამორკვევის უფლება და თავისუფლება მოსპეს და მთელ რუსეთში თავიანთი ბატონობა დაამყარეს. ერთა თვითგამორკვევის უფლებას და თავისუფლებას მათთვის თავისთავად ღირებულება არ აქვს, ის მათთვის მხოლოდ უბრალო საშუალება და მიზანშეწონილების საკითხია.

ერთა თვითგამორკვევის უფლებას ესლა აღმაცურად უყუარებს არა თუ ნაციონალისტური, არამედ სოციალისტური ნაწილიც რუსული ემიგრაციისა. მათ ეშინიათ, რომ თვითგამორკვევის ლახუნგით არ ისარგებლონ დაჩაგრულმა ერებმა და ამ ნიდადაზე არ დაიწიონ საბჭოთა კავშირის დაგრევის პროცესი.

ერთა თვითგამორკვევის უფლების ეგოისტურად გამოყენების ეშინია საფრანგეთის გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწეს და სოციალისტური პარტიის ლიდერს ლეონ ბლუმსაც, რომელიც ამას წინედ სწერდა, რომ თვითგამორკვევის პრინციპი თავის წარმოშობით არ არის სოციალისტური; არ არის აგრეთვე რალაც კერპი, რომ უთუოდ თავი მოვიხაროთ ყველამ მათ წინაშე, ვინც მის მატარებლად გამოვალის სიამს კითხვებს: 1. არის თუ არა შესაძლებელი დღევანდელ ევროპაში, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში დაპყრობების და ხალხთა მიგრაციის შედეგია, საერთოდ და აბსოლუტურად განხორციელებულ იქნას თვითგამორკვევის პრინციპი; 2. არ იქ-

ნებოდა ასეთი რამე წყარო მუდმივი დავისა და კონფლიქტებისა; და 3. სოციალისმს, რომელიც პირველ ყოვლისა ილწვის მშვიდობიანობის შესანარჩუნებლად და სტაბილიზაციისათვის, შეუძლია მიიღოს ეს პრინციპი მისი მოქმედების საერთო და აბსოლუტურ გეზითა? (აბოპულგრი, 6 ნოემბერი 1938).

ერთა თვითგამორკვევის პრინციპი თავის წარმოშობით მართლაც არ არის სოციალისტური. ხალხთა თავისუფლების და სუვერენობის იდეა პირველად საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს დაიბადა და აქედან იწყება შემდეგ ამ იდეისათვის ამა თუ იმ ფორმით ბრძოლა.

გამარჯვებული ბურჟუაზია და მისი დროშის მატარებელი ლიბერალები თავს ვერ გამოიდებდნენ ერთა თავისუფლების ბრძოლისათვის, რადგანაც თვითონ აწარმოებდნენ იმპერიალისტურ და დაპყრობის პოლიტიკას. მაგრამ ერთა თავისუფლების დამცველებათ და მეუპოაგებათ შემდეგ გამოვიდნენ სოციალისტები, რომელნიც გახდნენ საფრანგეთის დიდი რევოლუციის პრინციპების მემკვიდრენი და გამგრძელებელნი.

მოძღვრება, რომელიც მოითხოვს დაარსებას ახალი საზოგადოების და წესწყობილების, სადაც ადამიანი არ იქნება ჩაგრული ადამიანის მიერ, ცხადია, უნდა მოითხოვდეს აგრეთვე, რომ ერთი ერი არ იყოს დაჩაგრული მეორეს მიერ კაცობრიობაში. სოციალისტების შემცენების მიხედვით ინდივიდთა შორის დამოკიდებულებიდან გამომდინარეობს ერთა შორის დამოკიდებულებაც. სამართლიანობის და მორალის კანონები, რომელიც აწესრიგებს ადამიანის მდგომარეობას საზოგადოებაში უნდა აწესრიგებდეს ერის მდგომარეობასაც კაცობრიობაში. ამ მიხედვლებას იცავდნენ ყოველთვის თავიანთ მოღვაწეობაში და ნაწერებში, როგორც მარქსი, ისე ეან ჟორესი და სხვა სოციალისტები.

ერთა თვითგამორკვევის და თავისუფლების პრინციპი აღიარებული იყო პირველ ინტერნაციონალის მიერ მის პირველ მიმართებაში. პოლონეთის გათავისუფლების საკითხი მან თავის ღირსების და პატიოსნების ვალდებულებათ გაიხადა. შემდეგ სოციალისტურ კონგრესებზე არა ერთხელ წამოყენებულა ჩაგრულ ერთა თავისუფლების იდეა გარკვეული მოთხოვნის სახით.

ერთა თვითგამორკვევის უფლება, მდიდარი შინაარსის, სამართლიანობით და კეთილშობილებით, წარმოადგენს დიდ თვითღირებულებას და მასზე გულის აცრუება იმ მოსაზრებით, რომ ვინმე ცდილობდეს ამ უფლების შინაარსის დამახინჯებას, ანდა შექმნილ პირობებში მის ეგოისტურად გამოყე-



ნებას, მართლდაც უიმედობის და გულგატეხილობის ნაყოფი იქნებოდა.

ბლოშევიკები მუდმივ გაიძახიან, რომ ისინი ყველაზე დიდი სოციალისტები და დემოკრატები არიან, სინამდვილეში კი მათ ორივე ეს ცნება წარყენეს და გადაამახინჯეს. მაგრამ ამიტომ სოციალისტებს სოციალისტობაზე და დემოკრატობაზე უარი არ უთქვამთ.

დღეს ერთა თვითგამორკვევის უფლების აბსოლუტურად ყოველგან ვატარება, რასაკვირველია, ძნელი და შეუძლებელი საქმეა, მაგრამ აბსოლუტებით მსჯელობა, საერთოდ, მაგნე და მიზანშეუწონელია.

ერთა თვითგამორკვევის უფლება ყოველთვის გულისხმობს იმ სუბიექტს, რომელმაც თავისი თავი უნდა გამოარკვიოს, გულისხმობს აგრეთვე ერთგულ ტერიტორიას, ისტორიას, ტრადიციებს, ენას, დამოუკიდებელი არსებობისათვის ეკონომიურ, სტრატეგიულ პირობებს და სხვა.

ერთგული საკითხი ევროპის დასავლეთ და ცენტრალურ ნაწილებში ყოველგან გადაჭრილია: აქ თვითოვლად ერს აქვს თავისი ერთგული კერა, აქ ერთი ერთი სახელმწიფოა. თუ დღეს ცენტრალურ ევროპაში მდგომარეობა ძალზე გართულებულია, ეს იმას მიეწერება, რომ ვერსალის ხელშეკრულებით იქ სახელმწიფოთა შორის საზღვრები ერთგული ინტერესების დარღვევით არის გაგლეხებული და ესაა ამ უსამართლობის გამოსწორებაზე დავა და აურხაური.

მაგრამ ერთა თვითგამორკვევის და თავისუფლების საკითხი სრულებით არ არის გადაჭრილი და მოგვარებული ევროპის აღმოსავლეთ ნაწილში—საბჭოთა კავშირში. ამის გამო იყო, რომ 1930 წელს სოც. ინტერნაციონალმა გამოიტანა დადგენილება, სადაც ნათქვამია: «მუშათა სოციალისტური ინტერნაციონალი დღესაც, როგორც წარსულში, იბრძვის რუსეთის საბჭოთა კავშირში ამ ქვათი გაერთიანებულ ყველა ერების თვითგამორკვევის ერთგულ-ზღვრულ უფლებებისათვის. ინტერნაციონალი ფიქრობს, რომ თვითოვლად ამ ერთგანმა მხოლოდ თვითონ უნდა გადასწყვიტოს, რა უფრო უზრუნველყოფს მის ერთგულ თავისუფლებას: დამოუკიდებელი ერთგული სახელმწიფო, თუ ფედერატიული რესპუბლიკის ფარგლებში დარჩენა» და სხვა.

ამ ერთგული თვითგამორკვევისათვის არის დღეს გამართული სასტიკი ბრძოლა საბჭოთა კავშირში. აქაც თვითოვლად ერს სურს ჰქონდეს თავისი ერთგული კერა, თავისი დამოუკიდებელი სახელმწიფო. ამ საკითხის გამო მთელ რუსეთის ტერიტო-

რიაზე უკვე სწარმოებს უდიდესი კონფლიქტი საბჭოთა ხელისუფლების და ჩაგრულ ერთა შორის. იქ ნამდვილი ომი, სადაც ათასობით და ასიათასობით ხალხი იღუპება. მშვიდობიანობის შენარჩუნებაზე და სტაბილიზაციაზე კი არ სდგას იქ საკითხი, არამედ იქ არსებული ომი და კონფლიქტები უნდა იქნას მოსაპობილი. ომი და კონფლიქტები საბჭოთა კავშირში მოისპობა კი მხოლოდ მაშინ, როცა იქ აღარ იქნება მთავარი მიზეზი და წყარო ამ ომისა და კონფლიქტებისა, როცა იქ ბოლო მოეღება ერთა ჩაგრვას და თვითოვლად მათგანს ექნება საშუალება თავის სურვილისამებრ თავისი ცხოვრება მოაწყოს. მხოლოდ მაშინ შეიძლება იქ მშვიდობიანობის შენარჩუნებაზე და სტაბილიზაციაზე ლაპარაკი.

რუსეთში დღეს საშინელი მდგომარეობაა. მთელი მოსახლეობა იქ მოკლებულია არა მხოლოდ ყოველგვარ თავისუფლებას და მორალურად უადრესად იტანჯება, არამედ ფიზიკურადაც ძალზე იყლიტება; ტირანის ქვეშ მყოფი, ყოველნაირ გასაქანს მოკლებული, ის შველას სხვებისაგან ელის. შეიძლება ეს მეტად შემცდარი და გადამტეხული იმედი იყოს; და მართლაც, მხოლოდ სხვების მიერ ხსნაზე და შველაზე ჩაგრული ერთა იმედის დამყარება დიდად შემცდარი და უნადაგო რამე იქნებოდა. მაგრამ ასეთი იყო ჯოველთვის და ასეთია დღესაც ტერორის და დესპოტიის ქვეშ მყოფთა ფსიხოლოგია და სულისკვეთება. ხალხისთვის, როგორც მთლიანი ერთეულისათვის, მეტად ძნელი და შეუძლებელია გაერკვეს სამოქმედო პოლიტიკის ყოველნაირ დეტალებში და გულდასმით აწინადგინოს მისი დადებითი, თუ არადადებითი მხარეები.

სოც. ინტერაციონალის ზოგ ცნობილ და გამოჩენილ მოღვაწეებს ეშინიათ, და მათი შიში სრულეებითაც უსაფუძვლო არ არის. რომ ერთა თვითგამორკვევის ლობუნეი სხვებმა არ გადმოისრლონ და ამით მათი ავტორიტეტი და პოპულარობა არ გაზარდონ. მაგრამ მაშინ თვითონ ამ მოღვაწეებმა უნდა დასვან ინტერნაციონალის დღის წესრიგში ერთა თვითგამორკვევის საკითხი და მოითხოვონ ცხოვრებაში მისი ვატარების აუცილებლობა. შეიძლება, მათ ერთა თვითგამორკვევის საკითხი საბჭოთა კავშირში საერთაშორისო კონფერენციის საკითხადაც გახადონ და აქეთ მიმართონ მთელი ევროპის საზოგადოებრივი აზრი და ყურადღება. ასეთ პირობებში სოც. ინტერნაციონალის პრესტიჟი და ავტორიტეტი დიდად აიწვედა დამონებულ ერთა და მათი მშრომელთა ნაწილის თვალში.

ქ ა მ რ ი კ ი ა ნ ი ა

ღენება და ხინამდვილად.

ვინც საბჭოთა გაზეთებს თვალყურს ადევნებს, იგი უსაუფოდ შეამჩნევდა, რომ ჩვეულებრივი ყოველდღიური ტრანზანდის (სოციალისტურ აღმშენებლობის) შესახებ ამ ბოლო დროს ძალიან შენედა. აიხსნება ეს იმით, რომ ამ აღმშენებლობაში უკვე უმაღლეს წერტილს მიაღწია? თუ იმით, რომ მკითხველები უკვე დააწიუნდნენ ამ აღმშენებლობის შეუჩერებელ ხრდაში, და ამიტომ გაზეთებმა ამჯობინეს ამ სავანზე წერის მაგიერ ახლა სხვა საუბრობროტო საკითხებს დაეთმონ ადგილი? ან შეიძლება, წინააღმდეგ, ეს ამბავი იმით აიხსნებოდეს, რომ შეფერხდა «სოციალისტურ აღმშენებლობის» საქმე და გაკრუბული იმედების გამოქვეყნება არ არის სასიამოვნო და სასიკეთლო?

ფრანგულ გაზეთის «მატენის» ცნობების მიხედვით, ამ დღებში მან რომ გამოაქვეყნა (მოწინავე, 3 დეკემბერს), უკანასკნელი მონასრება უნდა იყოს მართალი. ოფიციალურ სტატისტიკის მიხედვით, სწორად «მატენი», და 1936 წლის «პლანის» თანახმად უნდა ამოეღოთ ქვანახშირი 135 მილ. ტონი, ამოიღეს კი—126 მილ. ტონი; 1937 წლის «პლანით» უნდა ამოეღოთ 150 მილ. ტონი, ხოლო რამდენი ამოიღეს, ეს არ ვიცით. ნათი უნდა ამოეღოთ 1936 წლის «პლანით 30 მილ. ტონი, ამოიღეს კი—27 მილ. ტონი; 1937 წლის პლანით მოელოდნენ 32 მილ. ტონს, მიიღეს კი 27 მილ. ტონი და სხვ. ასეთ სხვა მაგალითებსაც ეყრდნობა გაზეთი, და აცხვებს, რომ საბჭოთა «აღმშენებლობა» მკვდარ წერტილზე შეჩერდა.

საბჭოთა კავშირის უკანასკნელი წლის სტატისტიკა სრულად ჯერ კიდევ არ არის გამოქვეყნებული; და თუ იგი გამოაქვეყნეს (წელს სახელმწიფო ბიუჯეტის აღარ გამოუქვეყნებიათ სრულად), გაკრუბული იმედები შეიძლება იქ მეტად დაიწახოთ, ვინმე გახ. «მატენი» ახლა აქვეყნებს. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ წარმოების ტემპის დაკლების ტენდენცია უკვე სწდა მაშინ, როცა შარში 1936 წლის «მიღწევების» წინასწარი ცნობები გამოაქვეყნეს; ცხადი იყო, რომ მთელი რიგი წარმოებათა ვერ ამართლდება «პლანს». ასე, აქ წინასწარ ცნობების მიხედვით განხორციელებული იყო «პლანი»: ქვანახშირის წარმოებაში—92 პროც. (მათ შორის, ტყვარჩელის მანდებში—41 პროც., ტყვიბულისსაში—77 პროც.); ნავთის წარმოებაში—97 პროც.

«პლანი» არ მართლდებოდა განსაკუთრებით ქვანახშირის და ქარხნის მოწყობილობათა დამამზადებელ წარმოებაში. ასე, აღნიშნულ ცნობების თანახმად, დამზადებული იყო გათვალისწინებულ რაოდენობიდან, პროცენტებით: ორთქლის ქვებში—65, ლოკომობილებში—52, საფეიქრო მოწყობილობა—68, პურის საცობი და წისკილების მოწყობილობა—61, 64, ტრაქტორიან გუთნების—76 და სხვ. და სხვ. »

*) იხ. «სახალხო-სამეურნეო პლანი საბჭოთა კავშირის 1937 წლისთვის»—რუსულად.

ტენნიკურ სავალბათა ასეთი დანაკლისი დამზადებაში, ცხადია, ხელს შეუშლიდა. წესიერადაც რომ ყოფილიყო სხვა ყველაფერი მოწყობილი, წარმოების პლანისამებრ განვითარებას. ამის შესახებ ბოლშევიკური პრესა არაფერს ამბობს, ხოლო რაღაც ყრუ უკმაყოფილება დინანსთა კომისიის ზევრევის სიტყვიდან კი სწნდა, როცა მან 1938 წლის ბიუჯეტში, წელს აგვისტოში, უმაღლეს საბჭოს დაამტკიცებინა; იმის მაგიერ, რომ აქ მას თავი ემართლებია ხარჯთაღრიცხვის ასე დავეიანებით წარადგინათ, თვითონ თავს დაესხა «დეპუტატებს» და იმას უსაყვედურებდა, რომ ზოგან გადასახადები თავის დროზე არ შემოდისო, რომ ზოგან კომპლურ აღმშენებლობას ყურს არ უდგებენო და სხვ. რაც შეეხება 1938 წლისთვის, მან მაინც ის წინადადება შეიტანა, რომ ხარჯები გაეღოთ მეტი წინა წელთან შედარებით: მრეწველობისთვის—29.5 პროც. და საფლის მეურნეობისთვის—24.5 პროც. მეტი. შეიძლება ამ ხედმეტი თანხების გაღება იმით აიხსნებოდეს, რომ სახელმწიფო წარმოებანი ზარალიბენ. თუმცა ეს ზარალი, ჩვეულებრივ, ძალიან მოხერხებულა იმალება. მაგრამ იმის დაფარვა მაინც აუცილებელია—ნაპრაი უნდა ამოიგნოს. ეს ვარემოება აუარესებს არა მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტს, არამედ გააუარესებს ფულის კურსსაც, რადგან გადიდება ემისია—მოუშატებენ ქალაქის ფულის ბეჭდვას.

უამისოდაც ყველას მოეხსენება, რომ საბჭოთა «სოციალისტური აღმშენებლობა» თუ რა უძირო კასრი გამოდგა, რომ მისი ამოცნება სიხვის შრომით და «სტახანოვების» ენერგითაც კი არ ხერხდება; რალა იქნება თუ წარმოება შემცირდა და ზარალს კიდევ ზარალი მიემატა?

საბჭოთა კავშირში, გაკლებით უფრო მეტად ვინემ სხვა ტოტალიტარულ ქვეყნებში, ისეთი სისტემა დამკვიდრებული, რომ სანამ საბჭოთა რეჟიმი არსებობს, ეს დაუშოვავი ხარჯი ფულისა და ადამიანის შრომის აუცილებელია; კაცის გონება და ენერგია აქ მედამ დაქიმიული უნდა იყოს, იგი რაიმე სრულად განსახლებულ ახლობელ მიზნით უნდა იტყუოს «მეგრობილი, რათა სხვა ყოველივე, რაც ირგვლივ ხდება, მას გადააიწვიდეს; ზოგან ხალხს აუცილებელ ომის პერსპექტივებით აშინებენ, ზოგან იმპერიალისტური პერსპექტივებით ხიბლავენ და ხიბვთ ეკონომიურ აღმშენებლობით. საბჭოთა კავშირში ყველა ეს პერსპექტივები ძალიან ოსტატურათ იყო შეხავებული და იმით ამართლებდნენ «ხუთ წლიან» გეგმებისთვის დიხარჯულ მილიარდებსაც (დინანსთა კომისიის ზევრევის განცხადებით, მხოლოდ მეორე «ხუთ წლიანი» დაიხარჯა სახალხო მეურნეობაზე 183 მილიარდი მანეთი), შრომის ჯოჯოხეთურ პირობებსაც, შიშნოსაც, განუკითხავ ტერორსაც, ხუმრობა საქმე: ეკონომიურათ ამერიკისთვის წინ უნდა გაესწროთ!



და ახლა ასეთი სამწუხარო ამბავი: იმედების გა-
ცრულება, წარმოების ტემპის განვლება.

ეს მართლაც სამწუხარო ამბავი იქნებოდა; არა
იმიტომ მხოლოდ, რომ ჩვენ სრულებით არ ვიზიარ-
ებთ იმ აზრს,—და ეს არა ერთხელ გვითქვამს,—თი-
თქოს ნივთიერ მდგომარეობის გაუარესებით საბ-
ჭოთა წყობილება უფრო ადვილად დაეცემა; არამედ
იმიტომაც, რომ საბჭოეთი ისევ ძველ მეთოდებს
დაუბრუნდებია, იმ მეთოდებს, რომლის საშვალებ-
ებით მხოლოდ შესაძლებელი იყო მათთვის «ხუთ
წლიან» გეგმების სისრულეში მოყვანა, უდიდესი
არბების გაყვანა, სამრეწველო გიგანტების აღმშენ-
ებლობა: ეს იყო მრავალ მილიონ ადამიანის აუტა-
ნელ შრომის პირობების, ტანჯვის და დაღუპვის
პერიოდი; ვინც ეს «აღმშენებლობა» თავის თვლით
ნახა, ყველა მას ფარაონების პირ პირამიდების აღ-
მშენებლობას ადარებდა; ისენი უშთაფრესად ღერო-
პიელები იყვნენ, ერთ დროს საბჭოთა საქმიანობით
გაატაცებულნი. ახლა ამ პირობების განმეორება—ეს
ხალხისთვის ჯოჯოხეთის აღდგენა იქნებოდა; მეორე
მხრით, საბჭოთა კავშირი ურუმერგოთ ცხოვრობს,
ადებულ ტემპის შეჩერება წარმოებაში მისთვის და-
მლუპველია. ბევრი, საქმეში ჩაუხედავი და საბჭოთა
სტატისტიკის ავან-ჩავანის არ მცოდნე, უცხოელებ-
შიც და ემიგრანტებშიც, იმდენათ დაარწმუნა საბ-
ჭოთა რეკლამებმა და დიდმა ციფრებმა, რომ დაი-
ჯერეს საბჭოთა კავშირის ეკონომიურ მდგომარეო-
ბის უმაღლეს საფეხურზე ასვლა. სინამდვილეში ეს
სრულებით ასე არ არის.

რადგან ჩვენ სხვა ცნობები არა გვაქვს. ცხადია,
საბჭოთა სტატისტიკის ციფრებიდან უნდა გამოვი-
დეთ. უდავოა, რომ საბჭოთა წარმოება ამ 20 წლის
განმავლობაში გაიზარდა; ვსთქვამთ სწორია ისიც,
რომ ამ სტატისტიკაში ნაჩვენებ ცნობების მიხედ-
ვით საბჭოთა კავშირმა აბსოლუტურ რაოდენობის
მიხედვით, მსოფლიო წარმოებაში დაიჭირა ზოგან
მეორე (ნავთის წარმოებაში) და ზოგან (ფოლადის,
თუჯის) მესამე ადგილი. ეს სრულებით არ არის მა-
ჩვენებელი საბჭოთა კავშირის მოსახლეობის კეთილ-
დღეობის და სიმდიდრის ზრდის თანაბრად მეორე
და მესამე ადგილის დაუტრისა მსოფლიოს წარმოე-
ბაში. აბსოლუტური ციფრები მილწევების ძალიან
დიდია, მაგრამ საბჭოთა კავშირის ტერიტორიის და
მოსახლეობის მიხედვით, ეს მილწევები წვეთია ზღვა-
ში. ამ მხრივ არამც თუ ამერიკის შეერთებული შტა-
ტების წარმოების, არამედ ევროპის დიდ და პატარა
ქვეყნების საწარმოო მილწევანი საბჭოთა კავშირი-
სთვის დიდი ხნის საოცნებო სავანია.

რა გასაკვირია, რომ საბჭოთა კავშირის 21 მილ.
კვ. კილომეტრის ტერიტორია და 175 მილ. მოსახ-
ლეობა საერთოდ მუტ ნაწარმოებს იძლეოდეს, ვინემ
მახე ტერიტორიითა და მოსახლეობით ნახევარი ან
მესამედ ქვეყნები; საქმე ისაა, თუ ეს აკის თავზე
რამდენი ნაწარმოები მოდის. და აი როცა ამას
დაუკვირდებო, თქვენ დაინახათ, რომ საბჭოთა
კავშირის მდგომარეობა სრულებითაც სახარბილო
აქ არის, არაფერი სატრამბო ეკონომიურ ცხოვ-
რებაში მის არ აქვს.

ჩვენ აქ მოვიყვანთ რამდენიმე დამახასიათებელ
მაგალითს, რადგან უაღვილობის გამო მეტი მასა-
ლის მოყვანა შეუძლებელია, და არც საჭიროთ მიგ-
ვანია მკითხველის ციფრებით დაღაღვა. ქვემოთ
მოყვანილი ციფრები ემყარება იმ ძირითად ცნო-
ბებს, რომელიც გამოქვეყნებულია ერთის მხრით
თვით საბჭოთა სტატისტიკაში და მეორე მხრით
ერთალივის უკანასკნელი წლის სტატისტიკურ კრე-
ბულში: ხოლო ერთშიც და მეორეშიც გამოქვეყნე-
ბულია გლობალურათ, აბსოლუტურ რაოდენო-
ბით). მოდის კაცის თავზე 1936 წელს.

ქვანახშირი (ტონობით):	
ინგლისში	4,9
შვეიც. შტატებში	3,4
ბელგიაში	3,3
გერმანიაში	2,3
საბჭოთა კავშირში	0,7
ელექტრონის ძალა (კილოვატი):	
შვეიც. შტატებში	960
გერმანიაში	634
ბელგიაში	618
საფრანგეთში	397
საბჭოთა კავშირში	187
ნავთი (ტონობით):	
ვენეცუელაში	7,1
შვეიც. შტატებში	1,1
რუმინიაში	0,4
მექსიკაში	0,3
საბჭოთა კავშირში	0,1
თუჯი (კილოგრამი):	
ბელგიაში	37
შვეიც. შტატებში	24
გერმანიაში	22
ინგლისში	15
საბჭოთა კავშირში	8
ფოლადი (კილოგრამი):	
შვეიც. შტატებში	37
ბელგიაში	37
გერმანიაში	26
ინგლისში	25
საბჭოთა კავშირში	9

ცხადია, რომ წარმოების არც ერთი დარგი, საფუ-
ძველს რომ წარმოადგენს მრეწველობის განვითარე-
ბისთვის,—არც სათფობი მასალა, როგორცაა ნავ-
თი და ქვანახშირი, არც ნაქები ელექტროთექნიკა,
არც თუჯი და არც ფოლადი და სხვ.—საბჭოთა კა-
ვშირი არამც თუ არ გასწორებია, პირიქით ძალიან
ჩამორჩენია შეერთებულ შტატების და ევროპის
ქვეყნების წარმოებას.

დიდი ხნის განმავლობაში კიდევ ოცნება იქნე-
ბოდა საბჭოთა წარმოებისთვის ევროპის და შვეიც.
შტატების წარმოების დაწვეა და გასწრება, რითაც
საბჭოთა კავშირში თავი მოსწონდათ; და ამ ოცნე-
ბასაც ახლა სინამდვილე თურმე ფრთებსა ჰკვეცს:
«ღანანეს» ქალაღღებდაც ვეღარ ახორციელებენ!».

*) იხ. საბჭოთა გამოცემა «ხა დვადცატ ლეტ» და
Annuaire Statistique de la S. de N. 1937-38.

სოციალისტური ინტერნაციონალი

გასულ ოქტომბერში შედგა მუშათა სოციალი- სტურ ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტე ტის სესია, რომლის მოკლე ანგარიში მოთავსებული იყო ჩვენი გაზეთის ნოემბრის ნომერში.

ჩვენ არასოდეს დაგვიმალავს, რომ სოც. ინტერ ნაციონალი ვერ იდგა სათანადო სიმძლევზე, რომ იგი მერყეობას იჩენდა იქ, სადაც საჭირო იყო გამდა- პრილი და სრულიად ნათელი გზის არჩევა. ამ მერყეობას უსაყვედურებდნენ ინტერნაციონალს ჩვენი წარმომადგენლები კონგრესებზე და აღმასრულებელ კომიტეტის სესიებზე, ამ მერყეობის მავნებლობას აღნიშნავდა ხაზგასმით ჩვენი პარტია ყველა იმ მე- მორანდუმებში, რომელშიც მას წარუდგენია ინტერ- ნაციონალის ბიუროსათვის.

წესად გადაქცეულ მერყეობას არ არის მოკლე- ბული არც ზემოაღნიშნულ სესიის მიერ მიღებული რეზოლიუცია, თუმცა იგი, — და კიდევ უფრო მეტად უარყოფა დანისა და მის მგაობრების მიერ წარდგე- ნილ შესწორებების, — თუთოდ ატარებენ იმედის აღმძვრელ გადატეხისა და გამოფხინლების ზოგიერთ ნიშნებს.

იმის მერმინდელ მეორე ინტერნაციონალს თა- ვიდანვე დაყვა დაბნეულობა. ამ უკანასკნელის მი- ზეხი იყო ოქტომბრის ბოლშევიკური ვადატრიალე ბის ყალბი შეფასება. ევროპის სოციალისტურმა წრეებმა დაიჯერეს ბოლშევიკური ფრანგოლოგია და ბოლშევიკური ანარქია მიიღეს სოციალისტურ რევოლუციად. ეს დაბნეულობა კიდევ უფრო გაძ- ლიერდა მას შემდეგ, რაც მეორე და ორნახევარი ინტერნაციონალები გაერთიანდნენ ერთ მუშათა სო- ციალისტურ ინტერნაციონალში. ამ გაერთიანებამ სოციალისტური ინტერნაციონალის კარები გაუღო იმ ბოლშევიჩანურ ელემენტებს, რომელნიც მანამ- დე ორნახევარ ინტერნაციონალში იყვნენ მოკალათე- ბულინი. ამ დღიდან სოც. ინტერნაციონალში იწყება ყრუ ბრძოლა მისი ორი ფრთის შორის. სოციალის- ტური წრეების ერთმა ნაწილმა რამოდენიმედ დააღ- წია თავი ბოლშევიკურ ბურჟუსს და დაუბრუნდა დე მოკრატულ სოციალისმის გზას; მეორე ნაწილი ბოლშევიკურ შერჩა ბოლშევიჩანურ პოზიციას და და უპირდაპირდა პირველს. ამ დაპირდაპირებისა და ყრუ ბრძოლის შედეგი იყო ის, რომ ინტერნაციონა- ლის კონგრესებზე თუ მის აღმასრულებელ კომიტე- ტის სესიებზე ბევრ დიდ პრინციპიულურ მნიშვნე- ლობის მქონე საკითხებზე გამოქონდა კომპრომისუ- ლი რეზოლიუციები, რათა ამ გზით მოეხდინა ხელო- ვნურად შეკონსოციებულ ერთსულ ოჯენების დემონსტ- რაცია.

ცხადია, რომ ევ კომპრომისული რეზოლიუციე- ბი სოციალისტურ მასებში ვერ შეიტანდა გარკვეუ- ლობის სხივს. ჩამოქვეითდა და თანდათანობით და ძაბუნდა სოციალისტური ინტერნაციონალის იდე- ური ხელმძღვანელობა. სოციალისტურ მუშათა წრე- ებში დაიბადა მავნე ილუზიები და ყალბი შეხედუ- ლებები; ბევრ სოციალისტს დღესაც გულწრფელად

სჯერა ბოლშევიჩანების ლათაიები, რომ თითქოს შესაძლებელი იყოს კომუნისტური სატრაპიის მშვი- დობიანი ევოლუციის გზით გარდაქმნა სოციალის- ტურ სამთხვის ქვეყნად და შემდეგ ამ უკანასკნელის დახმარებითა და გავლენით ბურჟუაზიულ ევროპაში ძლევამოსილი სოციალისტური რევოლუციის გა- დმოტრე. დღემდე ინტერნაციონალი ცხოვრობდა ასეთ მავნე შედეგების მომტან კომპრომისული რე- ზოლიუციებით. ინტერნაციონალის ბოლშევიჩანუ- რი ფრთაც კმაყოფილდებოდა «ერთხმად» მიღებულ დადგენილებებით, — ქართული ანდაზის ან იყოს, სულ არარაობას ცალ-უღელა ხარი სჯობია. მაგრამ აღმასრულებელ კომიტეტის უკანასკნელ სესიაზე ბოლშევიჩანებს უგრძნვინათ იმის სასწიროება, რომ შესაძლოა ახლო მომავალში მათ ხელიდან გამოე- ცალოს ეს ცალად დაჩენილი ხარც. ამის ნიშნებს იძლევა «სოც. ვესტ.»-ში (№ 20-21, 1938 წ.) მოთავსე- ბული ბოლშევიჩან დანის ფელეტონი: «სოციალის- ტური ინტერნაციონალი მიუხეხნის შემდეგ».

დანი არ არის კმაყოფილი ინტერნაციონალის აღმას. კომიტეტის უკანასკნელი სესიით. უნდა გა მოვცდეთ, რომ არც ჩვენ ვართ სავსებით კმაყო- ფილი, მაგრამ დანისა და ჩვენი უკმაყოფილებათა მიზეზები სულ სხვადასხვანაირია. დანი და მისი მე- გობრები მოითხოვენ ინტერნაციონალისაგან, რომ მას მოსკოვის დესპოტიური ხელისუფლება ზურგზე აკვიდებია ევროპის დემოკრატულ სახელმწიფოე- ბისთვის; ინტერნაციონალს უნდა მოეთხოვა დემო- კრატულ სახელმწიფოებისაგან სამხედრო კავშირი დაედოთ მოსკოვთან და შეერთებული ძალებით მო- ეხადებინათ ლაშქრობა ტოტალიტარულ სახელმწი ფოების წინააღმდეგ. «სოც. ვესტერ-ის» ჯგუფმა, რომლის იდეური სულის ჩამდგმელი დანია, მემო- რანდუმით მიმართა ინტერნაციონალს ბიუროს, რომელშიაც მოითხოვდა ინტერნაციონალისაგან, რომ მას ყველა მასში შემავალ სოციალისტური პა- რტიებისათვის სავალდებულოდ გაეხდა მოსალო- დნელ სამხედრო კონფლიქტის ხანაში მოსკოვს ამო- დგომოდენ გვერდში და დაეცონ იგი ყოველგვარი საშუალებებით. სესიაზე ბოლშევიჩანები მოითხოვე- დნენ, რომ რეზოლიუციამ სხვა დემოკრატული სა- ხელმწიფოების გვერდით ნახსენები ყოფილიყო საბ- ჭოთა კავშირიც. სესიამ უარყო ბოლშევიჩანების ყველა მოთხოვნილებები, კენჭიც არ უყარა მათ მიერ წარდგენილ რეზოლიუციას და არ მიიღო არც მათი შესწორებები. ამ მიზეზებით არის გამოწვეული დანის უკმაყოფილება. ჩვენც კი ყოველთვის ამა სავ- სებით ვიწარმოებთ, ამაში ვხედავთ სოც. ინტერნაცი- ონალის გამოფხინლების ნიშნებს. მაგრამ არ გვაქმა- ყოფილებს ის, რომ მიღებული რეზოლიუცია მაინც კომპრომისულია: არ არის ნათლად და გარკვევით აღთქმავი, რომ სოციალისტური ინტერნაციონალი სავსებით და პირწინდათ იმიჯნება იმ მოსკოვისა- გან, რომელიც მრავალ ერების (და მათ შორის რუ- სის ერისაც) უმბაღალითო ციხედ არის გადაქცეული.



დანის უკმაყოფილება ისე შორს მიდის, რომ იგი სრული გაკორტრებითაც კი აწინებს სოც. ინტერნაციონალს. თუ ეს უკანასკნელი დროზე არ მოვა გონს და 180 გრადუსით არ შემობრუნდება მის მიერ ნაჩვენებ ბოლშევიზანურ რეჟიმზე. ამ მდარე ხასიათის მუქარას არა აქვს რაიმე ფასი და მნიშვნელობა, იგი ვერავის დააწინებს. ჩვენ უფრო საყურადღებოდ მივგვაჩინა ის ლოკუტური ამბრუნდები, რომელიც დანსა და მის მეგობრებს ახასიათებს. დანი თვითონ გვიმოაწმებს, რომ ფაშისტური და ბოლშევიკური «ტოტალობები» ერთმანეთს კიდევ შობენ და კიდევ სპობენ. ყველამ იცის, რომ ბოლშევიკური «ტოტალობა» უფრო ხნიერია ფაშისტურ «ტოტალობაზე», ე. ი. უწინ იყო ბოლშევიკური «ტოტალობა», შემდეგ მოვიდა ფაშისტური; ცხადია, რომ პირველმა წარმოშვა მეორე. მანასადამე ბოლშევიკური «ტოტალობა» არის მიზეზი, ფაშისტური «ტოტალობა» კი მისი შედეგი. დანი სოციალისტურ ინტერნაციონალს ურჩევს, რომ შედეგის მოსასპობად გაამგვროს და დაცეას მიზეზი, — ფაშისტურ «ტოტალობის» დასაგრევედ გვერთხი ამოუდგვს ბოლშევიკურ «ტოტალობას». დანი ამის უწოდებს სოციალისტური ინტერნაციონალის «იდუგურ-პოლიტიკურ გადაიარაღებას», ჩვენთვის კი ეს იქნებოდა სოც. ინტერნაციონალის გაკომინტერება.

მერე რა გზით, რა საშვალეებით ფიქრობს დანი სოც. ინტერნაციონალის მის გემოზე «გადაიარაღებას»? იგი გვასწავლის, რომ ამის ინიციატორები «ვერ იქნებიან ცალკე პარტიების თუ მათი საერთო. შორისა ვაერთიანების ოფიციალური ინსტანციები». ასეთი გადაიარაღების როლის აღება ბუნებრივად შეუძლიათ და უნდა აიღონ თავისთავზე პარტიისა და ინტერნაციონალს შიგ მყოფმა იდეურმა «მინიქინარობებმა», თანამოაზრეთა ჯგუფებმა». ეს ტაქტიკა ბევრ მეთხველს უთუოდ ეწყობილება. — იგია ლენინის ძველი ტაქტიკა. ლენინი არასოდეს არ ენდობოდა პარტიას, არ ქონდა პარტიულ მასების იმედს. ამ მიზეზით იგი ქმნიდა პარტიაში «იდუგურ მიმდინარეობებს», თავად და სინდისზე ხელაღებული «თანამოაზრეთა» ჯგუფებს და მათი საშვალეებით ლამობდა პარტიისათვის თავზე მოეწვია მისი პიროვნული დიქტატურა. ამავე ტაქტიკით განაგრძობს მუშაობას სტალინიც და ანხორციელებს თავის დიქტატურას კომუნისტურ პარტიაში. ახლა დანს განუთხავს ბოლშევიკური ტაქტიკა და ბრძოლის მეთოდები გადმოიტანოს სოციალისტურ ინტერნაციონალში. ეს კი იმის უტყუარი ნიშანია, რომ მას დაუკარგავს ნდობა და იმედს სოც. ინტერნაციონალისა. სამართოდ დარწმუნებულა, რომ სოციალისტური ინტერნაციონალი არ გადაიქცევა კომინტერნის ფილიალად და თავის საპროგრამო საკითხთან არ გაიხდის კომუნისტური სტრატეგიის დაცეას.

დანი სრულ უნდობლობას უცხადებს სოც. პარტიების ოფიციალურ ინსტანციებს, ავრთვებ ამ პარტიების საერთაშორისო ვაერთიანების ოფიციალურ ინსტანციას, უკეთ რომ ვთქვამთ მისი ნდობის გარეშე დაყენებული როგორც სოციალისტური

პარტიების ცენტრალური და ადგილობრივი კომიტეტები, ისე სოც. ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტი. აი მათ აფიქქებას ფიქრობს დანი «იდუგურ მიმდინარეობათა» და «თანამოაზრეთა ჯგუფების» შექმნით შიგ პარტიებში და თვით ინტერნაციონალშიც. მაგრამ დანი, როგორც სხნას, თავის თავს ანაზღაურს არ აძლევს იმაში, რომ ლენინის დროის რუსების არაღვგალურ სოც. დემოკრატიულ პარტიას არადფით გვანან ვეროპის ეგვალური სოციალისტური პარტიები. ამ პარტიებში ლენინის მეთოდები ფეხს ვერ მოიკიდებენ და გასაეაღს ვერ იპოვიან.

როგორც ჩვეითაც აღვნიშნე, არც ჩვენ ვართ საგვებით უკმაყოფილო სოციალისტური ინტერნაციონალით; ჩვენც აუცილებლად მივგაჩნია მისი «გადაიარაღება». მაგრამ ეს უკანასკნელი ჩვენ გვესმის არა დანისებურად. დანისებურად «გადაიარაღება», როგორც ჩვეით დავინახეთ, სოციალისტურ ინტერნაციონალს მიიყვანს კომინტერნის ფილიალის მდგომარეობამდე, სოც. ინტერნაციონალს ვადიყვანს კომინტერნის ხაზზე, დააყენებს მის იდეურ გავლენის ქვეშ და ვახდის მოსკოვის იარაღად. ჩვენ კი გვინდა, რომ სოც. ინტერნაციონალი იყვეს არა სხვის იდეურ გავლენის ქვეშ, არამედ თვითონ იყოს მისი სექციების იდეურ-პოლიტიკური ხელმძღვანელი, ხაზის მიმცემი და გზის მაჩვენებელი. მისი სამოქმედო პროგრამა, — ტაქტიკა და პოლიტიკური ხაზი, — ისევე ნათელი უნდა იყოს, როგორც მისი საბოლოო მიზანია. ამისთვის კი საჭიროა, რომ სოც. ინტერნაციონალმა ერთხელ და სამუდამოდ, გაემიჯნოს რუსულ კომუნისტურ, გაემიჯნოს მოსკოვის სტრატეგიას და იმ კომუნისტურ პარტიებს, რომელნიც ადგილობრივად მოსკოვის აგენტების როლს ასრულებენ; სოციალისტურმა ინტერნაციონალმა უყოყმანოდ უნდა აღიაროს ის უდაო ფაქტი, რომ მოსკოვთან და კომუნისტურ პარტიებთან დაახლოვება, მათთან თუნდაც დროებით კავშირში შესვლა კი არ ანელვება და ამცირებს ფაშისტურ საფრთხეს, არამედ პირიქით, აძლიერებს მას. ფაშისტური საფრთხე იბადება იქ, სადაც თავს იჩენს კომუნისტური საფრთხე. აქედან ცხადია, რომ ვისაც უნდა თავიდან აიცილოს ფაშისტური საფრთხე, მან უნდა ყოველივე იღონოს კომუნისტური საფრთხის ძირშივე ჩასაკლავად. კომუნისტურმა სტრატეგიამ თვითონ მოგვცა იმის უამრავი საბუთები, რომ მას საფრთვი აქვს საერთო დემოკრატიულ სოციალიზმთან. სოციალ. ინტერნაციონალმა ვაგედფულად უნდა გამოიყვანოს ეგ საბუთები და საქვეყნოდ განაცხადოს, რომ რუსული კომუნისტი არ არის სოციალისმი. საბუთთა კავშირში მჭვინვარებს უსაშინელესი ფორმის დიქტატურა; მუშათა კლასი და გლეხობა ისე, როგორც საზოგადოების სხვა ფენები, არიან არა სუბიექტები ამ დიქტატურისა, არამედ ობიექტი. ვეროპის არცერთ ქვეყანაში, — არც დემოკრატიულში და არც ტოტალიტარულში, — მშრომელთა უფლებებობა და ნივთიერი მდგომარეობა არ არის დაყვანილი ისეთ დაბალ დონემდე, როგორც საბუთთა კავშირში. სოციალისტური ინტერნაციონალის მოვალეობაა ყოვე-



ლივე ილნოს საბჭოთა კავშირის პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული მდგომარეობის სახსრებით სწორი და მიუღლომელი სურათის შესადგენად და ეგ სურათი გაცნოს მთელ მსოფლიოს მუშათა კლასს: უკანასკნელმა უნდა იცოდეს სრული სიმართლე საბჭოთა კავშირის შესახებ.

სოციალისტურმა ინტერნაციონალმა სასტიკი ბრძოლა უნდა აწარმოვოს ყოველგვარ სახის ბოლშევიზმის წინააღმდეგ, როგორც თავის წრეში, ისე მის გარეშეც, ბოლო უნდა მივღოს ისეთ არანორმალურ მოვლენას, როგორც არის სხვადასხვა საკითხებზე კომპრომისული რეზოლუციების ერთხმად გამოტანა. ასეთი რეზოლუციები უნდა იქნეს მიღებული ხმის უმრავლესობით. რეზოლუცია სახსრებით და სისწორით უნდა გამოხატავდეს უმრავლესობის ნათელ და გარკვეულ აზრს. კომპრომისულ რეზოლუციებს აღრევა და დაბნელება შეაქვს სოციალისტურ პარტიათა მასებში, რითაც მთხერ-

ბეხულად სარგებლობენ დემოკრატიისა და სოციალისმის მტრები.

სოც. ინტერნაციონალმა უნდა მიაქციოს ჯგეროვანი ყურადღება დანაჯრულ ერების საკითხს. ერების თავისუფლება ერთი პირობათაგანია ქვეყნად მშვიდობიანობის დასამყარებლად. ერთა თვითღმარაკვევად და სახელმწიფოებრივად მომზადებულ დანაჯრულ ერთა განთავისუფლება სოც. ინტერნაციონალმა უნდა გაიხადოს პრაქტიკულ პოლიტიკის საფუძვ.

ამ ხაზით და ამ მიმართულებით მოძქმედი სოც. ინტერნაციონალი შესძლებს შემოიკრიბოს თავის ირგვლივ მსოფლიოს სოციალისტური მუშათა კლასის, მშრომელი გლეხობა და ის საშუალო კლასები, რომელთა დამხარების გარეშე დღევანდელ პირობებში წარმოუდგენელი და შეუძლებელია წარმატებითა და გამარჯვებით სვლა დემოკრატიისა და სოციალისმის გზაზე.

ბ. ანდიე.

ზ რ ბ ი რ ა მ

ბრძოლა ჩვენს წინააღმდეგ გრძელდება და გრძელდება მეტი ინტენსივობით, მეტი სიანჩლით. ასეთი იერიშები ჩვენზე არა ერთხელ მოუტანიათ. მარა ის მუდამ მათი ავტორების დამარცხებით გათავებულა. აღსანიშნავია, რომ ეს იერიშები სწორედ მაშინ იწყებოდა და იწყება, როცა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობა რთულდება და მძიმდება; როცა აუცილებელია ყველა სასოციალსო ძალების ფეხზე დაყენება, მათი მობოლიზაცია და შექმნა ერთი მტკიცე ნების, რომელიც ასე საჭიროა ქვეყნის განსაუდღელისაგან გამოსაყვანად. სწორედ ამ დროს მათი ჯგუფური მიზნები და ზრახვები დღევა ერის ინტერესებზე მაღლა და ქვეყნის ლტოლვა-მისწრაფება იფარება პარტიული კაპიტლის შეძენის წყურვილით. ჩვენ მოწინააღმდეგეთა ასეთ პოლიტიკურ სიბეცეს, ასეთ პრიმიტიულ თვითმოყვარეობას არა ერთი და ორი ზიანი მიუყენებია ჩვენი სოციალის საბრძოლო ინტერესებისათვის, მარა ჩვენი სიბეცულით დაბრმავებულნი—ისინი ვერ ამჩნევენ, თუ არ ამჩნევენ, რომ ასეთი პოლიტიკური სიბეცით სურიან იმ ხეს, რომლის ერთ-ერთ ტოტზე თვითონაც სხნდა.

ჩვენ კარგად ვიცით რომ პარტიათა შორის დაჯაკამათი, შეხლა-შემოხლა—ეს სრულიად ბუნებრივი და ნორმალურია. მარა, ამავე დროს, ისიც ვიცით, რომ არც ერთი პასუხისმგებელი ჯგუფი არ იკისრებს ბრძოლის გამწვავებას ისეთ მომენტში და ისეთ პირობებში—როცა ამას შეუძლია უდიდესი ზიანი მოუტანოს თვით ქვეყნის არსებობის საქმეს. ჩვენ ვიცით მრავალი შემთხვევა, როცა, ვერ და ქვეყანა განსაცდელში ვარდებოდა—პარტიათა შორის ბრძოლა უკანა რიგში დგებოდა. იდევნიბოდა ყოველივე ის, რაც შლიდა, არღვევდა და ასუსტებდა საერთო მუშაობის შესაძლებლობას. აბა ვინ იტყვის რომ ჩვენი ქვეყანა ამ ეამად ასეთ პირობებში არ იყოს! ვინ იტყვის რომ დღეს პირველ რიგში სწორედ რომ

ერისა და ქვეყნის გადარჩენის საკითხი არ იდგეს! და თუ ასეა, და რომ ასეა, ამას ვერაიენ უარპყდს—რით აიხსნება ის იერიშები, რომლებიც ამ საბედისწერო მომენტში ასეთი თავაშვებულებით დაიწყეს ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა? ახლა ისინი «შინაური ფორმითაც» აღარ კმაყოფილდებიან და ბრძოლა უცხოეთის პრესაში გადაიტანეს. ყველაზე მეტად ამ მხრით თავი ისახედა «კავკასიის ჯგუფმა». ამ ჯგუფმა ისე აიწყვიტა, ისე აიშვა თავი, რომ ნამდვილი განმეორება შეიქნა ყოფილი რუსეთის შავრაზმელებისა. მათ სახსრებით აღდგინეს პურიფიკაციების ლესიკონი და შორალი, შემოიტანეს მივიჯრანტულ პრესაში ის დაბალი ხარისხის ზნე-ჩვეულება, რომელიც უტყეს სახელს და ამცირებს საზოგადოებრივ თვითღმარებლობას. გაიხადეს პროფესიათა ქუჩაში უორების გროვება და მისი წარა-მარა წამოძახება, გადააქეთ თავის ფურცლებზე ყოველგვარი ინსინუაცია და სხ. და სხ. ერთი სიტყვით გაამეფეს ყოველივე ის რაც ახასიათებს საზოგადოეთ ყვითელ პრესას. და ეს სისხაძაღვე იქამდის მივიდა, რომ ჩვენს მოწინააღმდეგეთა რიგებში მყოფი რიგიანი პირებიც ვეღარ ითმენენ მას, თავის გულის წყურვილს და ხიზლს რომ მალავენ და დაჯეროთ მისგან იმიჯნებიან.

ამ მხრით მეტად დამახასიათებელია ბ-ნ მინ. წერეთლის წერილი «თ. გ. ა.»-ში; ბ. წერეთელი ისე აღულებულია «კავკასიის» საქციელით რომ საჯაროთ სწუხს და ნანობს, რომ ოდესღაც ის მისი თანამშრომელი იყო. ის პირდაპირ აცხადებს: «კავკასიის» მიმართულება აღშფოთებას იწვევს მრავალ ქართველში». და უმატებს:—«ჩემის აზრით კარგსაც სჩადის». რა იწვევს ამ აღშფოთებას? აღშფოთებას იწვევს ბ. წერეთლის მტკიცებით «კავკასიის» ცხადათ ვაშლილი ფორმით საქართველოს წინააღმდეგ». და რა გასაკვირია თუ ძველ პარტიოტს, მ.



წერეთელს, არ უნდა იდგეს «საქართველოს წინააღმდეგ გამოსული ფორნტში!»

როგორც მოსალოდნელი იყო მ. წერეთლის წერილმა «კავკასიის თანამშრომელთა შორის დიდი ალიაქოთი გამოიწვია. ვინ გინდა რომ მას არ აუხიროდა: დიდი და პატარა, მოხუცი და ახალგაზდა. ასე გასინჯეთ მიზ. კვლიაც კი მიმართავს მას დიდი ეპისტოლეით, სადაც უსყვედურებს: რა ქენი ეს შენ «ბატონო მიხაკო, საუკეთესო და უსაყვარლესო აღმზრდელი ჩვენი თაობისა»-ო. თუ მართლა ყველა ეს მიზ. კვლიები მ. წერეთლის აღზდილია—ის მართლაც რომ ყველაფრის ღირსია. ცემა გმართებს გამზრდელისა, რა ყრმა ნახო ცუდათ ზრდილი—ნათქვამია. მ. კვლიას გვერდში ამოუდგა მეორე მისი «აღზდილი» ბ. გ.ჯაყელი, რომელიც ბ. წერეთლის წერილს ყოფს ორათ და ამბობს რომ მას აინტერესებს წერეთლის არა ის ნაწილი, რომელიც მისივე გადმოცემით «შეადგენს მეტად საყურადღებო ისტორიულ და ეთნოგრაფიულ ნაწარმოებს», არამედ «მეორე მცირე ნაწილი, რომელსაც პირადისა და ქართველთა შორის საშინაო ურთიერთობის მნიშვნელობა აქვს»-ო. გამოდის რომ «ისტორიული და ეთნოგრაფიული» საკითხები ამ «ახალგაზდობას» არ აინტერესებს, მათ მხოლოდ და მხოლოდ შინაური კიბე-ლაობის ამბავი აინტერესებს. რატომ? იმიტომ ხომ არა რომ პირველ შემთხვევაში საქირაო უკუა, გონება, მომზადება, ცოდნა და გამოცდილება. მეორე შემთხვევაში კი ბევრი არაფერია საჭირო: შევიგინო საქართველოს მთავრობას, შეაქეღვი ბაშატი, დაიხან—ძირს მარქსიზმი, გაუმართლოს ფაშისმსო და გაქნებთ საერთო კავკასიის პატრიოტის სერტიფიკატი დაწერილი ქართულია, მარა ხელმოწერილი თურქულად.

კიდევ და კიდევ—დავიჯეროთ რომ მიზ. წერეთელმა აღხარდა ეს «ახალგაზდობა»? და თუ აღხარდა tant pis pour lui—რაც მოგივა დაეითაო ყველა შენი თავითაო.

ვთქვით რომ ეს «ახალგაზდობა» მართლაც რომ მ. წერეთელმა აღხარდა. მარა ეს ანტირეჟიმი ვინდა აღხარდა რომ ასეთი ამბიციით უხსნის მას, რომ «რესპუბლიკა ჩვენში მენშევიზმ-ბოლშევიზმის სინონიმი»-ო, «რესპუბლიკა ჩვენში მენშევიზმ-ბოლშევიზმის სინონიმია»-ო, როგორც სწავს რესპუბლიკის საქმიანი ძალიან აწუხებს ბ. ამირჯანიძეს. მარა აწუხებს არა ის რაც იყო წარსულში, არამედ კიდევ უფრო ის—რაც იქნება მომავალში. იქნება თურმე რესპუბლიკა და ისევე «მენშევიკური!» «სხვანაირ რესპუბლიკას ჩვენში ვერავენ შექმნისო». ამ შემთხვევაში ის მართლაც რომ სიმატლეს ამბობს. აბა იმიტომ ხომ არ იბრძობის ასეთი თავის დადებით ქართველი ხალხი რომ ერთი დიქტატურის მაგერი შეორე შექნას, თუგინდ სხვა ფერის და სხვა მოხაზულობის? ეს იციან კარვად ამირჯანიძემა და ამიტომ მარა რომ ამ თავითვე იღებენ ზომებს ისე მოაწყონ საქმეები, რომ ხალხს არაფერი ეკითხოს და ყოველივე მისი ნებისა და სურვილის გარეშე გაკეთდეს. და თუ ასე არ მოწყვა, თუ მათ წინდაწინ არ ექნათ

გარანტია რომ განთავისუფლებულ საქართველოში ისინი გაბატონდებიან—ნუ გაგვიკვირდებათ რომ დამოუკიდებლობაზედაც უარი სთქვან.

რაკი ჩვენმა დაღესტანელმა ქართველებმა რესპუბლიკაზე ჩამოაგდეს ლაპარაკი და ის მენშევიკების და არა მთელი ქართველი ხალხის შემოღებულად გამოაცხადეს—არ იქნება ზედმეტი ორიოდე სიტყვა ამის შესახებ.

1918 წ. 26 მაისს, სასახლეში, შესდგა საქართველოს ერთგულთა საბჭოს სახეიშო სხდომა, რომელმაც მიიღო დამოუკიდებლობის აქტი. პირველი მუხლი ამ აქტის ამბობს:

«ამირჯანიძე საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულ უფლებოვანი სახელმწიფოა.

მეორე მუხლი: დამოუკიდებელ საქართველოს პოლიტიკური ფორმა—დემოკრატიული რესპუბლიკაა.»

საბჭოს ყველა წევრებმა არამც თუ მიიღო ერთხმად და აღტაცებით ეს აქტი—ხელიც მოაწერა ზედ. შემდეგ შეიკრიბა ქართველი ერის უზენაესი ორგანო—დამფ. კრება, სადაც, პირველსავე სხდომაზე, უწინარეს ყოვლისა, წაკითხულ იქნა დამოუკიდებლობის აქტი, შემდეგი დამატებით: «საქართველოს დამფ. კრება არჩეული პირდაპირი. თანასწორი. საყოველთაო, ფარული და პროპორციონალური საარჩევნო სისტემით ორთავი სქესის მოქალაქეთა მიერ—თავის პირველსავე სხდომაზე, ქვეყნისა და ისტორიის წინაშე აღიარებს რომ ის საეგნებით იღებს და დასტურებს საქართველოს ერთგული საბჭოს მიერ გამოცხადებულ დამოუკიდებლობის აქტს». ეს დადგენილებაც მიღებულ იქნა ერთხმად. შემდეგ დამფ. კრებამ აირჩია საკონსტიტუციო კომისია, რომელშიც დაე მონაწილეობდა ყველა პარტიის წარმომადგენელი და არც ერთ მათგანს არ განუცხადებია რაიმე რესპუბლიკანური ფორმის წინააღმდეგ. პირიქით, როცა დამფ. კრებამ მიიღო ამ კომისიის შემუშავებული ტექსტი კონსტიტუციისა მან დაუმტკიცა—კონსტიტუციის პირველ გვერდზე მოთავსებული ყოფილიყო დამოუკიდებლობის აქტი. როგორც ერთადერთი საფუძველი თვით ამ კონსტიტუციისა.

ამ ოგად, რესპუბლიკანური ფორმა ჩვენი ქვეყნის მიღებულია მთელი ხალხის და მისი სახელმწიფოებრივი ორგანოების ერთხმად დადგენილებით და როცა «კავკასი» მას მხოლოდ მენშევიკების მიღებულად აცხადებს—ის სწადის უდიდეს სიყალბეს ჩვენი ქვეყნისა და ისტორიის წინაშე, ძირს უთხრის ჩვეს სახელმწიფოებრივობას, ანგრევს იმ საფუძველს, რომელზედაც აშენებულია ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებელი არსებობა და მაშინსადამე აქაც მტრის საქმეს აკეთებს. როგორც აღვნიშნეთ—დამოუკიდებლობის აქტის მეორე მუხლი უდავოა აცხადებს რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი ფორმა დემოკრატი. რესპუბლიკააო და ვინც დღეს არღვევს აქტის ამ მეორე მუხლს, რა გარანტიაა რომ ხვალ არ დაარღვევს მის პირველ მუხლს, ე. ი. არ უარყოფს დამოუკიდებლობას. ამიტომ ყველა უკმარისი პატრიოტის ღვთაებრივი მოვალეობაა დამოუკ. აქტს



ხელი არ ახლოს, მისი ავტორგინობა სადაოთ არ გახადოს და ძველი ქრისტიანების ფანტიკოსობით დაცვას და დაიფაროს, როგორც მთლიანად, ისე თვითუფული მისი მუხლი, რადგან თუ ერთს დაარღვევს ერთი, მეორეს-მეორე. მისგან, რასაკვირველია, აღარა დარჩება-რა...

«კავკაზ»-ის იმავე ნომერში მოთავსებულია ბ-ნი რ. გაბაშვილის წერილი «პოლიტიკა და პატრიოტიზმი», სადაც ავტორი თავის უვიც მკითხველს არწმუნებს, რომ «ბრიუსელის პაქტის» ავტორები ოფიციალურად სწორედ იმასვე ამბობენ, რაც ბამატა დასწერა ჩრდილოეთის საზღვრების შესახებო. მოკლევს «დამ. საქ.»-დან «მენშევიკური დემანტი» და ის რაც დასწერა ბამატა, ადარებს მათ ერთმანეთს და ასკვნის: «არავითარი განსხვავება მათ შორის არ არის». ვაგონილა ასეთი ტყუილი? «მენშევიკების დემანტი» ამბობს: ოსმალეთთან შეგობრული ურთიერთობა გვიწოდდა და გვიწოდო. ბამატი კი ენება საზღვრებს და ითხოვს ვიცნათ ის საზღვრები, რომელიც დღეს არსებობს. ე. ი. დავაბსტრუოთ კომუნისტების მიერ ჩვენი ქვეყნის ნაწილების გადაცემა ოსმალეთზე! არ არის განსხვავება? თუ ბ. გაბაშვილი მართლაც ვერ ხედავს აქ განსხვავებას-მას ესაქიროება არა კამათი, არამედ დასვენება...

არა ნაკლებ საინტერესოა მისი წერილის ის ადგილი, რომელიც ენება ჩეხო-სლოვაკიას. ეს ადგილი მართლაც რომ საუცხოო ილიუსტრაცია იმის თუ რა ფასი და ღირებულება აქვს ჩვენი მოწინააღმდეგეების პატრიოტულ აზრსა და რწმენას. ის სწერს: ჩეხოსლოვაკიაში გადადგა ბენეში, გადადგა მთავრობა, ახალმა მთავრობამ გამოიცვალა ორიენტაცია, ბევრი დასთმო ტერიტორიალურად და მსახლეობით და ს. და გაკვირვებით კითხულობს:—«განა ეს ნიშნავს რომ მთავრობა იქცა მოსალატეთ იმით რომ ტერიტორია საუკუნოებრივ მტერს დაუთმო»? ვო? რასაკვირველია რომ არ ნიშნავს. მარა რა შევაშია აქ «კავკაზი» და მისი საზღვრები? ჩეხია წააქციეს. წაქცეულმა ქვეყანამ მიიღო ის რაც უკარანახეს-წაართვის უფლება ყოლოდა სახელმწიფოს მეთაურად ის ვინც მას სურდა, აეჩრდა ისეთი მთავრობა, რომელიც ესპირობოდა, ვაჟუმებიეს პარტიები, ერთი სიტყვით აპყარეს ყველა ის უფლებები, რომელშიდაც ისინება და მქლავნდება ერის სუვერენული უფლებები და აქციები. «ზახადეს სხვისი ბრძანებისა და სურვილების უბრალო იარაღად და არც ერთი ეს არამც თუ იწვევს «კავკაზს» პატრიოტებში წუხილს და გულისწყრომას, პირობით, ატყუებენ მკითხველს—«ერთა თვითგამორკვევის უფლება იმარჯვებსო!» უწმარტებ პატრიოტი სხვა ქვეყნებში ეძებს იმას, რაც გამოადგება თავის ქვეყნის საკეთილდღეოდ. გაბაშვილი ეძებს იმას, რაც გამოადგება თავის ქვეყნის სახიანოდ და სხვისი ქვეყნის სასარგებლოდ და ყოველივე ამის შემდეგ ჯავრობენ კიდევ, რათა ჩვენ არც მათი პატრიოტობა გვწამს და არც მათი მამულიშვილობა გგჯერა...

ორიოდე სიტყვა გაზეთ «მომავალზე». «მომავალში» მოკალატებული ყმაწვილები წაჰპიწებულნი იბრძვიან მარქსიზმის წინააღმდეგ, როგორც სჩანს მათ მტერი საქმე არ აქვთ. მარქსიზმის ღებუჯ ბევრს, მართლაც რომ მცოდნე და განათლებულ პირებს მოუტენხიათ კბილი და გვეწმინა—ვითუ ამ ყმაწვილების ერთიც აღარ შერჩეთ. თუ მარქსიზმი მართლა ისეთია, რომ იმის განიავება მაგლენიშვილსაც კი შეუძლია—ის მართლაც არ ყოფილა მისალბი და ვისაც უნდა იმას ჰქონდეს. «მომავალი, ვითრამა ჩვენდა გასაწილებლად, ჩამოთღის ყველა იმთ ვინც გაიქცა და «კავკაზს» შეეკვდლა. მარა რა შევაში ვართ ჩვენ! ისინი გაგვექცა არა ჩვენ, არამედ თავის საკუთარ პარტიას. «მომავალიც» კი განმოქცა თავის «თ. გ.» ჯგუფს, მარა რატომ ჩვენ უნდა ვიყოთ ამის პასუხისმგებელი! ემიგრანტობა მძიმე საქმეა, სუსტნი და რწმენაში მერყევი ვერ უძლებენ მას. იხნიქებიან მისი სიმძიმის ქვეშ, ხან აქეთ გაიხრებიან. ხან იქით; მარა მერყევი და მოყალე ეღმენებნი არას დროს არ ყოფილა და ვერც იქნება, რასაკვირველია, საქართველოს ემიგრაციის სახისა. აზროვნებისა და მიმართულების გამომატყულო.

«მომავალი» ავსებს თავის და უცხოელ ფურცლებს ჩვენი და ჩვენი მთავრობის ლანძღვაგინებით და ათსავარი ცილისწამებით და ბოლოს ცხადებს: მიუხედავად ყოველივე ამისა მენშევიკებთან შეთანხმება მინც შეიძლებაო მარა რალც გეგმასაც არდგენს. მარა იმას კი არ კითხულობს რომ ყოველივე ამის შემდეგ ჩვენ გვექნება თუ არა სურვილი მათთან შეთანხმებისა...

იმავე ნომერში ძალიან გვიწყრება ირ. ბატონიშვილი და გვიწყრება სრულიად უსამართლოდ და უმიხეზოთ. «დამ. საქ.»-ში მას რალცა დაუწერეს. ის კი მოგვდლომა ჩვენ და «ტყავს გეპარობს». რატომ ასე განრისებულხართ თქვენი ბრწყინვალეობა? «დ. საქ.»-ხომ მარქსისტების ორგანო არაა. თუ ასეთი წვრიმდონები არ იციან—უნდა ისწავლოთ უთუოთ. ან იქნებ ჩვენი და ჩვენი მთავრობის ლანძღვა-გინება საჭირო იყო თქვენი მომავალი ტანტისათვის? თუ ასეა—თქვენი სადღერაქლო იყოს, აღარ გედავებოთ, მარა ერთი რამ მინც უნდა გკითხოს: თქვენ სწერთ რომ საქართველოს 12 საუკუნის ისტორია ბაგრატიონების ხელმძღვანელობით არის შექმნილიო. კეთილი და პატიოსანი! მაგრამ რა შუაში ხართ თქვენ? ბატები ამბობენ რომ ჩვენმა წინაარბებმა რომი და იხსნესო. ხომ არ ხედავთ მსგავსებას თქვენსა და ამ ბატების განცხადების შორის! შეწმინა რომ ამ ბატების პრეტენზიებით თქვენ ძალიან გაგვირღებოთ საქართველოს მეფის გვირგვინის მოპოება.

გწ. ურატაქე.



ს ა რ კ ე ს ი ს მ ო ლ ო დ ი ნ ე შ ი

ძველი მონარქიული რუსეთის მართველი წრე განაპირა ქვეყნებში მოზინდარეთ «ტუზემცენს» უწოდებდა და მაღლიდან მედიდურად თავს დაჰყურებდა. მაგრამ არც ე. წ. პროგრესული ნაწილი საზოგადოების—ინტელიგენცია იწუნებდა ავს ნაციონალურ პროლეტარისთვის სერიოზული ყურადღება მიექცია და ის შესწავლის საგნათ გაეხადა. მე-19 საუკუნის მანძილზე ევროპის ერთა უფლებების განმტკიცება. დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ თვისუფლებებისაქენ მისწრაფებამ რუსეთის დიდმარბეულურ აზროვნებაზე გავლენა ვერ მოახდინა, ის ვერ გააღებო.

მე-20 საუკუნის დასაწყისიდან და უმთავრესად დიდი ომის მიერ შექმნილ პირობების ზეგავლენით ერთა თვითგამორკვევის იდეამ პრაქტიკული განხორციელებაში შეძლო, ის გადაიქცა ეპოქის მამოძრავებელ ძარღვად. რუსეთის საზოგადოებრივი აზრის გაბატონებული ფსიქოლოგია კი დარჩა ურყევი და კაცობრიობის დანარჩენ ნაწილისაგან განცალკევებული.

1848 წლის რევოლიუციის ქარიზხალმა და ერთა განმათავისუფლებელ მოძრაობამ თავისუფლად მოაზროვნე გერციხი ჩააფიქრა და მან საჯაროდ აღიარა რუსეთის ფარგლებში მომწყვედუელ ერთა თავისუფალ—ძმურ-კავშირის დაარსება. მაგრამ მის ხმას არავითარი გამოხმაურება არ უპოვია და მის მომყოლ შემარცხენე მიმართულების თაობამ ნაციონალურ ერთეულთა ეთნოურ-კულტურული განსხვავება და ერთგული უფლებების დატკობლოდ ისტორიისგან შიშვდარ ნაბოძარად აღიარა და ნაციონალურ პრობლემის საფუძველთა არსებობაც კი უარყო.

ამ კომპოლიტურ აზროვნების ქადაგებამ რუსეთის იმპერიალიზმის ბორბლები მომეტებული სიჩქარით უფრო ძალად. დამპყრობელ პოლიტიკის სათავედან უფრო მძლავრად აგორდებ მღვრიე ტალღები და განაპირა ქვეყნების ეკონომიურ ექსპლოატაციამ და პოლიტიკურმა ჩაგვრამ მიიღო უფრო მწვევა ხასიათი. მეცნიერი და პროგრესისტი მილიუტოვი და შვარზმელნი პურიშვიკი-დუბროვინი ერთიმეორეს დაემობილენ, ერთი მეორეს ხელი ჩაკვიდეს, და ერთად დადგნენ დიდი რუსეთის ტერიტორიულ მთლიანობის საფუძვალზე.

რამოდენიმე ათეული წლების შემდეგ რუსეთის იგივე სახეცვლილი იმპერიალიზმი და მისგან დევნილი, პოლიტიკურად ჩაგრული რუსეთის მრავალრიცხოვანი ემიგრაციის სხვადასხვა მიმდინარეობა სდგანან იმავე პოზიციებზე. როგორც ძველი მონარქია და მისი ოპოზიციონური ძალები, ისე დღევანდელი წითელი მოსკოვი და მის წინამდებ მებრძოლნიც საგარეო პოლიტიკის ფრონტზე ერთად ირანებდნან, ერთი ფიქრით იმსუვლებდნან, ერთად იწვეიან. მართალია ბოლშევიზმმა ჯოჯოხეთად აქცია რუსეთი, ხალხი დაიმონა, მის სულიერი კულტურა წალეკა, მისი სოციალური ცხოვრება დაავადმუყდა,

სამაგიეროდ მასში გამოხატულება ნახა რუსეთის ნაციონალისტურმა სულისკვეთებამ.

რუსეთის ემიგრაციის საზოგადოებრივი აზრი მხად არის შეურიგდეს საკუთარ ხალხის წყალებს და უზარმაზარ, ხელოვნურად შეოქონებულ შენობის დანაშაუვის ხელი შეუშალოს. თუ ამით დიდი რუსეთის დანაწილებას და წვრილ ერთა განთავისუფლებას თავიდან აიცილნან.

მოსალოდნელად თუ არა რუსეთის დანგრევის ნიშნები, მაშინვე გამოჩნდებიან «გულკეთილი» პუბლიცისტები და თავიანთ ბრძნულ დარიგებებს უხვად არიგებენ. რუსი მწერალი—ბნი ვიშნიაკი (იხ. «სოვრხაპ») ასე ეუბნება რუსეთთან სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლაში ჩამბულ ერებს: «თუ ბოლშევიკური ტერორის გავლენით განაპირა ქვეყნებში დაიწყებენ ცენტრიდან დაშორებას, ხვალინდელ ყოველნაირ რუსეთისგან გამოყოფის ცდას და გამოიჯნას, მოსალოდნელია, ხანგრძლივ შინაგან. თუ საგარეო ბრძოლის ქარცეცხლში დაიღუპოს დიდი ხნა «ჩვენი» და «თქვენი» პოლიტიკური და ნაციონალური თავისუფლებათა». ასეთი და შინებით სურს მას წვრილ ერებს ბრძოლაზე ხელი ააღებინოს. ამ მას ძალიან ყალბი წარმოდგენა აქვს რუსეთში დაწყებულ მცირე ერთა მოძრაობის სიძლიერეზე. რაც ძნელი დასაჯერებელია, ამ განხრახ უნდა თავი მოიტუილოს და თავისი რჩევანი გულკეთილობითა და გულწრფელი სურვილებით წარმოგიდგინოს, რომ მით ნამდვილი მისი ზოხავეები ჩვეთვის ძალული დარჩეს.

უშსხვერპლოდ და ბრძოლის გარეშე არავინ განთავისუფლებულა. დღესაც განა დასაბობით არ ეწირება მცირე ერთა საუკეთესო შვილები მოსკოვის იმპერიალიზმს, რომლის კალთებს სამარცხენით ვფარება რუსეთის ემიგრაციის პუბლიცისტები?

ერთეულ ბრძოლის განმანთავისუფლებელ საშუალებიდან გამორიცხულ უნდა იქნას ყოველნაირი ავანტიურების გზა. რუსეთის ნგრევის პროცესში, იქნება ის გამოწვეული საგარეო გათულების, თუ შინაგან ძალთა მოძრაობის გავლენისაგან, ჩვენ ღრმად გვწამს, მცირე ერთა სასიცოცხლო ძალები იმდენეთად მომწიფებულნი, გამოცდილნი და დისკიპლინის ქვეშ დაოზმულნი აღმოჩნდებიან, რომ შესძლებენ დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ ცხოვრების დამკვიდრებას გზა გაუყადონ და შესაძლებელი ფიზიკური დაზარალება თავიდან აიცილნან...

რომ მოსალოდნელ რაიმე ხიფათს თავიდან აგვაიცილოს, ვიშნიაკი გვიჩვენებს: «არა ნაციონალურ-სეპარატიული გამოყოფა. არამედ დიდი რუსეთის ძლიერების აღიარება და მის ფარგლებში დემოკრატიულ საფუძველზე ერთა ცხოვრების მოწყობა». კერძონსკი უფრო მკაფიოდ გვეუბნება: «მოდით, ერთად დავდგეთ, ჯერ რევიმი ჩამოვადლოთ და შემდეგ თავი მოვიყაროთ ფედერაციასში». ვიშნიაკის სურვილია მცირე ერთები წინასწარ განაიარალოს, რუსეთის ძლიერება აღიარებინოს. მხოლოდ კერძონსკი ამისთვის კი გვაჯილდობს და ძმურ კავშირს გვპი-

რდება. მცირე ერთა ბრძოლის შინაარსი ისახლვრება საკუთარი სახეშეიფოებრივ ნაციონალურ უფლებების, დამოუკიდებელ ცხოვრების აღდგენით, რუსეთის ხალხის და მისი ემიგრაციის კი—ბოლშევიკური რეჟიმის გადადგებით და პოლიტიკური წყობილების შეცვლით. ამ ორი მიმართულების გაერთიანება შეუძლებელია. მათი საბოლოო მიზანი ერთი მეორეს სცილდება, ერთი მეორეს აქედანვე ეწინააღმდეგება.

ანდა რომელი მორალური უფლების ძალით ითხოვენ მცირე ერებისაგან წინასწარ ნდობის მოწოდებას კერენსკი-ვიშნიაკი?!. მათი წარსული, ან მათი დღევანდელი «დიდი რუსეთის პარტიოტიზმი» იძლევა რაიმე გულწრფელობის გარანტიას? ლენინი უფროს შორს მიდიოდა, ის თავს ესხმოდა თვითმყრობელობის დროს რუსის შვერახმელობას და თვითგამორკვევის საკითხს თავგამოდებით იცავდა, მაგრამ იცავდა პრინციპში. როცა რუსეთის მარცხელი და მბრძანებელი გახდა, ჯარი შემოუსია საქართველოს. თუ წინეთაც აშკარა იყო, შემდეგ კიდევ ნათელი შეიქმნა, რომ ნაციონალური პრობლემა მისთვის თვითმყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველი იარაღი იყო და მეტი არაფერი. რა საბუთი გვაქვს ჩვენ სხვათაგანად ვიდრე ერთი ეხლანდელ ფედერაციის მქადაგებლებზე?

ვიშნიაკი ცრემლებს აფრქვევს კერენსკის გაზეთში, რომ მცირე ერთა წარმომადგენელნი მუშაობას აწარმოებენ ვეროპაზში და ყოველნაირ რუსეთიდან იმიჯნებიან, ასეთია ნაციონალისტური ფეოიზმი «მშურ ფედერაციის» მოციქულის, რომელიც ცოდვად უთვლის დაჩაგრულ ერთა შეილებს ვეროპაზს

სახოვადობებრივი აზრი თავიანთ სასარგებლოთ მართონ.

ჩვენი ვიციობთ ერთ რუსეთს—იმპერიალისტურს, წინეთ და ეხლა. ვიშნიაკს თითქოს ჯიბეში ედვას—მეორე რუსეთი—კუმანიური აზრებით და ჩვენი განთავისუფლების სურვილებით დატვირთული. კერენსკი-ვიშნიაკი ეკუთვნის სწორედ იმ თაობას, რომლის გვერდით უშედეგოთ ხაირია ეროვნული მოძრაობის მძლავრმა ტალღებმა. საუკუნის მანძილზე შექმნილ გაბატონებულ ფსიქოლოგიიდან თავის დახწევა მით დვილათ აღარ ძალუძთ. მათ ვერ წარმოუდგენიათ რუსის ხალხის აღორძინება. მისი ეკონომიური ცხოვრების უზრუნველყოფა საკუთარ ძალეზე დაერობით და განთავისუფლებულ ერებთან კეთილშობილურ განწყობილების დამყარებით.

საბჭოთა კავშირში მომწყვეთელი ერების სურვილი გარდაუვალია: აღადგინონ ადრინათი ნაციონალური ოჯახი და ჩამოყალიბდენ შესადგერის სახელმწიფოებრივ ფორმაში. თვით ხელახლდები რუსეთის სასოციალხოლო ინტერესს მოიხსოვს ამ განთავისუფლებულ ერებთან კარგი მეგობრული და მეზობლური დამოკიდებულება დიპტირონ. თუ ასეთი ნიადაგის მომზადების საქიროება კიდევ ვერ შეუქნიათ კერენსკი-ვიშნიაკის, და უმთავრესად რუსეთის ემიგრაციის მოწინავე ნაწილს. იმედს გამოვთქვამთ, თავის დროზე განთავისუფლებული რუსის ხალხი შესძლებს თავი დაახწიოს «პარტიოტ-იმიპერიალისტების» დამლუპველ მისწრაფებებს და ხელი გაუწოდოს განთავისუფლებულ ერებს.

პ. ხარ—ძე.

ზ რ ო მ ს კ ო ნ ს ე ლ ი ა ს ი ი ს ჯ ი ლ ო ბ ა

1938 წლის დასაწყისიდან ბოლშევიკური მზე მოულოდნელი სისწრაფით მიესვენება. რუსეთის ერთა ლიგაში მიღლებილ დაწყობულ აღმასვლა ვეროპაზის კონტინენტზე უფსკრულისსავე დაქანებით შეიცვალა და მიუხეხნის კონფერენციამ ზავის შენარჩუნებით მისი უქანასკნელი იმედებიც გააჯრო. ეს არ იყო შემთხვევითი მოვლენა. რუსეთის გაროყვა გადასწყვიტა არა მხოლოდ იდეოლოგიურმა მომენტმა, რომელსაც აქნამდე ფაშისტური ქვეყნებისთვისაც არ შეუშლია ხელი მასთან ნორმალურ დამოკიდებულებაში, არამედ მისმა პოლიტიკურმა გეზმა და საშხედრო პრაქობამ.

უცხო ქვეყნების კომუნისტური პარტიათა საქმიანობა მისთვის შინა პოლიტიკის პირდაპირი ფუნქციაა. ამიტომ არ შეიძლებაოდა მის საერთაშორისო ასპარეზზე დაცემა, მისი უცხოელი ფილიალიების გაკოტრებაც არ მოჰყოლიდა. ამ საერთო კანონში მოჰყვა საფრანგეთის კომუნისტური პარტია, ომი ყოველ მიზეზს გარეშე—ასეთი იყო და რჩება ყველა ქვეყნის კომუნისტების დევნიზი; მათი გაგებით, საერთაშორისო რეფოლიუტია საერთაშორისო ომის და ნგრევის შედეგი უნდა იყოს. ტულუსხის გამაერთიანებელი კონგრესის შემდეგ კომუნის-

ტები თავიანთი დოქტრინით პროფ. კავშირებს ეწვიენ და შიგნიდან მოინდომეს მისი დაშლა და აფეთქება. თავიანთი პროვოკაციული მუშაობით მათ დიდად შეუწყვეს ხელი კომუნისმის მახინჯი ფიზიონომის საშპარაოზე გამოტანას, რადგან მათი ავანტიურისტული წაოწყებების ობიექტი და მახივრალი მუშად მუშათა მოძრაობა სდებოდა. ამ გარემოებამ გამოიწვია მუშათა ყველა ფენების მის წინააღმდეგ ახმელება.

ჩვენი ვაგათის სექტემბრის ნომერში ჩვენ აღვნიშნეთ ის დიდი მარცხი, რომელიც ამ პარტიამ საფრანგეთის მდარჯლოთა ნაციონალურ საბჭოში განიცადა. ამ უქანასკნელმა მას მისცა საბოლოო გაფრთხილება და რეკიდვის შემთხვევაში სტატუტით გათვალისწინებული დისციპლინარული ზომების მიღებით დაემუქრა. როგორც ყველა უსუსურ დამნაშავეს შეეფრება, კომუნისტებმა მყისვე ხმა გააკმინდეს და მდაროს მუშათა სამართლიან ახმედებას სოროში შეძვრობით უპასუხეს. ეს იყო პირველი დიდი მარცხი კომუნისტურმა პარტიამ რომ იგემა ამა წლის შემოდგომის დადგიდან.

სექტემბრის ბოლო რიცხვებში რადიკალ სოციალისტური პარტიის კონგრესმა მარსელში წესი აუ-

გო მათ პოლიტიკურ ასპარეზზე და ერთმანდ შეუძლებლად აღიარა ამ პარტიასთან თანამშრომლობა. მაგრამ საქმე ამით არ გათავებულა. კომუნისტური დემოკრატიის წინააღმდეგ შეტევების პროცესის გაფართოვდა, გაღრმავდა. მის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ასპარეზზე დამარცხებას ზედ დაერთო პროფესიონალური ნიადაგზე სრული განადგურება.

14 ნოემბერს ქ. ნანტში შესდგა საფარმავეთის შრომის კონფედერაციის მე 25 წლიური ყრილობა. ჩვენს საჯანს არ შეადგენს მისი მუშაობის სრული განხილვა მიუხედავად იმისა, რომ მისი დღის წესრიგი დატვირთული იყო ერთობ რთული და საინტერესო საკითხებით. ხსენებულ დღის წესრიგიდან ჩვენ გვინტერესებს მხოლოდ სამი ნიშნობა: ომი და ზავი, პროფ. მოძრაობის დამოუკიდებლობა და ცენტრალური ორგანოს არჩევნები. ამ საკითხების წინადასახილველი კონკრეტული გადაწყვეტა გაერთიანებულ მუშათა უძლიერეს ორგანიზაციამ გამოიჩინა კომუნისტების ავანტიურისტული პოლიტიკის დასაპირბუთებელი უტყუარ ნებისყოფა. კონგრესმა სამარცხვინო ბოძებზე გააკრა ამ არამეცნიერული პრაქტიკული კაცოული მუშაობა და ერთსულოვანი დადგენილებით დაკმა მათი ინჰერედიანსტური იმედები კრძალის სულთმობრავ ტირანიის გადაარჩენას რომ ემსახურებინა. კონგრესის რეზოლუცია, როგორც მოსალოდნელი იყო, უარყოფს ომს, როგორც იარაღს ერთგულნი პოლიტიკოსთა და მოცილობის ყველა საშუალებების ამოწურვისა ომის ანტიდონის მოსახსობად. ეს იმას არ ნიშნავს, რომ თითქოს მუშათა პროფ. კავშირები მზად იყვენ დადასტურდნ ყოველგვარი დათმობები საერთაშორისო აგრესორების მიმართ. მისი დადგენილება გამოდინარობს იმ მოსაზრებიდან, რომ ომი ფაქტალური აუცილებლობა არაა, რომ ის არაფერს არ აგვარებს და განადგურებულ კაცობრიობას გატყუბონ ჯამის ამარა სტოვენს.

ასეთივე ანტიკომუნისტური ნიშნის ქვეშ ჩატარდა დისკუსია პროფ. მოძრაობის დამოუკიდებლობის შესახებაც. გამოჩენილი სინდიკალისტი ფრუადელი თავის მკაცრ სიტყვაში ამბობდა: «1936 წლის გაერთიანება მზად სინდიკალისტის ყველა გარეშე დაჯგუფებთან დამოუკიდებლობის საფუძველზე. დამოუკიდებლ იქნა სინდიკალურ და პოლიტიკურ ფუნქციონა შეთავსება და დადასტურებული პროფ. ინტერნაციონალის წევრობა წინააღმდეგ კომუნისტური ინტერნაციონალისა. მაგრამ ტულუსის ხარტია დამოუკიდებლ იქნა... და ჩვენ მოწამე გავხდით როგორ მუშაკის. და მათ შორის კონფედერაციის ბიუროს წევრების, მოწაწილეობისა ზოგ სანადალურ მანიფესტაციებში, როგორც არის «ფრანგული ფრონტი» და «გაწვილილი ხელის» პოლიტიკა». ორატორი ხაზს უსვამდა კომუნისტების რეაქციონერებთან და კლერიკალებთან დახლოების პოლიტიკას და ამ ავანტიურაში მუშათა სინდიკატების ჩართვის ცდას. კონგრესზე გამოსული თითქმის ყველა ორატორი ამხელდა ამ პარტიის დაუღალავ მუშაობას მუშათა ორგანიზაციების კოლენისაციისათვის და მოითხოვდა მის სამუდამოდ აღსაფხვანს. ამ შემთხვევაში ისი

ნი გამოსტკვამდენ მთელი კონგრესის ახრს. კომუნისტებმა იგრძენეს სინდიკალისტის გაჯანსაღების უძიველი სილა და თავიანთ კონცეპციების დაცეცხედმეტად და შეუძლებლად მიიჩნიეს, რითაც თავისი გარიყვა დადასტურებს და თავის ბედს უხმოდ შეურიგდენ, მაგრამ საქმე ამით არ გათავებულა. კომუნისტური გავლენის განადგურების გადაწყვეტილება ნანტის კონგრესმა ცენტრალურ აღმასრულებელი კომისიის არჩევნებში დაადასტურა. აღნიშნულ კომისიაში ითვლებოდა 23 კომუნისტი. ამათგან პარტი ჩეულ იქნა მხოლოდ 11. განავეებულ იქნენ ზადონის ყველა პროფ. კავშირების გამოჩენილი კომუნისტი მუშაკები და დეპუტატები. ამ განადგურებას ფრანგი ბოლშევიკები ვერ შეურიგდენ და არჩევნების გაუქმება მოითხოვენ, მაგრამ კონგრესი არ აღმოჩნდა განწყობილი მანტუას დამორჩილებობა, რადგან მარცხმა ყოველ მოლოდინს გადააქარბა. ნუგეშისათვის ის დასთანხმდა წევრთა რიცხვი 50 მდე აყვევდა და ადგილი კომუნისტებისათვის სახრავძელ ივით გადაავლდა. ისინიც დაკმაყოფილდენ ამ დამამცირებელი წყალობით, რადგან სხვა იმედი აღრსად სჩანდა.

ამრიგად, როგორც შინაურ და საგარეო ხასიათის საკითხებზე იტკუსისაში, ისე წმინდა პროფესიონალურ ნიადაგზე და არჩევნებში ყრილობამ გამოიჩინა კომუნისტურ ინტერეგისადმი გასურად მტრული ტენდენცია და, რაც მთავარია, თავისი განწყობილება ხმაალა აღიარა, რითაც მან დაასამარა კომუნისტური პარტიის უქანსკენელი იმედები. დამარცხებთა ეს სერია იმ ცხოველმყოფელი სიოს მომასწავებელია, რომლის წარმოშობა და მიმართულება თვით მოვლენების და სალი გონების მოთხოვნილებით განისაზღვრება. მოვლენებმა გამოადგინეს კომუნისტური დემოკრატიის გზაანდნული მშრომელი მასა. სალი გონება მოითხოვს მის საბოლოო ლიკვიდაციას, რაც დააქარბებს მოსკოვის სისხლიანი ტირანის აგენტების მიერ მოწამლული ატმოსფერის გაჯანსაღებას და მშრომელთა ასპირაციების ინტეგრალურ განადგობისათვის ნიადაგის მომზადებას.

კალ.

წიკილი ჩხეო-სლოვაკიიდან
(მეორე რეზიუმეილიკა)

როგორც კი ოთხთა თათბირმა მიუხეხენში გამოიტანა დადგენილება სუდეტის გერმანიასთან შეერთების შესახებ და საზოგადოთ გადაწყვიტა ბელი ყველა უმცირესობების ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე, აქ დაუყოვნებლივ მიღებულ იქნა ურყვევი გადაწყვეტილება გარდაიქმნას შინაური პოლიტიკური ცხოვრება და მთელი სახელმწიფოებრივი მექანიზმი გადაყვანილ იქნას ახალ ლიანდაგზე. საქირო არაა დავუბრუნდეთ იმას. თუ როგორ რადიკალურათ შეიცვალა მთელი საგარეო პოლიტიკა მიუხეხენის შემდეგ (იხ. «ბრ. ხ.» ნოემბრის ნომერი). აუცილებლობა მუხობულ სახელმწიფოებთან შეთანხმების, პირველ რიგში დამყარება კეთილი ურთიერთობის გერ-

საქართველოს
საბჭოთაო
საზოგადოებრივი
საბჭოთაო
საბჭოთაო

მინასთან.—მისი ქვაკუთხედით გადაქცევა საგარეო პოლიტიკაში,—ეს დღეს ყოველდღიურ კამათის ვარჯიშად ყველა მიმართულებების მიერ მამუც დროს მოწამე ვართ მზგავსი რადიკალური ცვლილებების მიწინააღმდეგე პოლიტიკაში. ობიექტიურად უნდა ითქვას, რომ შინაურ ძალთა ახალი განწყობილებები მყარდება საერთაშორისო პირობების გავლენით და რამოდენიმე კარნახითაც კი. სწორედ ამით აიხსნება, რომ თავიდანვე დიდ კრიზისის წინაშე აღმოჩნდნენ პოლიტიკური პარტიები,—ფუძე და მესველიანი დამოუკიდებელი ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მიფლი ამ ოცი წლის განმავლობაში.

პირველი იერიში ფართო საზოგადოების მიერ მიტანილი იქნა პარტიებზე: მრავალ პარტიათა არსებობა და მათი ურთიერთ ეგოისტური განწყობილება—აი მიზეზი კატასტროფის, გაიხსნა ხმა ყოველი მხრიდან. თითქოს მიწა იძვრა, ერთი ხელის დაკვრით გამოეცალა ამ პარტიებს ფეხს ქვეშ ნიადაგი. ეს ფაქტი კი ყველაზე უფრო აღნიშნეს და დაავასეს თვით ამ პარტიების ხელმძღვანელებმა და მუშაკებმა, დანახეს და, როგორ კარგვენ ფართო საზოგადოების წინაშე. პარტიების და პარტიულობის კრიტიკას სათავეში ჩაუდგნენ თვით ის ბუქდვითი ორგანოები, რომლებიც მოელი ხნის განმავლობაში იყვნენ თვით ამ პარტიების იდეოლოგის. ტაქტიკის და პრაქტიკის გამტარებელი და დამცველი. ისინი ხშირად არ ერიდებოდნენ თავის თავის გაწყვეტვას და გამათრახებასაც კი. ჩვენი ეროვნული ცხოვრება ძირფესვიანად შეირყა, მას მოღლის სრული კატასტროფა და მხოლოდ პარტიულ-პოლიტიკური ცხოვრების რადიკალურად გარდაქმნას, გამარტივებას, შეუძლია მისი გადარჩენა ახლად შექმნილ შემოკიდებულ გეოგრაფიულ პირობებში; ძირს მრავალი პარტიის არსებობა. აი ყოველდღიური ყვირინა მრავალრიცხოვან ეურნალ-გაზეთებში. ამ ერთხმოვან მსჯელობაში წამოყენდა შესაძლებლობა მხოლოდ ორი პარტიის არსებობა და საჭიროებისას კი (უქანასწელ საპარლამენტო არჩევნებში 1935 წ. მონაწილეობა მიიღო 20 პარტიამ პირველი რესპუბლიკის ტერიტორიაზე).

ყველა პარტიებზე უფრო პრაქტიკული ნაბიჯი რეორგანიზაციისაკენ გადასდგა სოციალდემოკრატიამ: ის გამოვიდა რა სოციალ. ინტერნაციონალის შემადგენლობისაგან, დაადგინა გარდაქმნილი იქნას ეს პარტია მშრომელთა ეროვნულ პარტიათ. ეამოცემულ მანიფესტში სოც. დემ. პარტიამ მოუწოდა თავის წევრებს, აგრეთვე ყველა მსურველთ—მშრომელთ ფიზიკურად და გონებრივად,—ჩაეწვიონ ამ ახალ გაერთიანებაში. ძველმა სოც.-დემოკრატიამ აცხადდა რომ ის არ ამბობს უარს მომავალში სხვა ეროვნებების მშრომელებთან თანამშრომლობაზე: მხოლოდ ის უნდა იყოს აგებული სრულიად ახალ საფუძველზე. მიუდგომლათ უნდა ითქვას, რომ ამ გადაწყვეტილებამ გამოიწვია სრული კმაყოფილება საზოგადოების ყველა წევრში. განსაკუთრებით მშრომელთა მასებში; სოც.-დემოკრატიამ უარი სთქვა არა თუ მარტო სახელმწიფოებზე, არამედ უარყო თავისი დღევანდელი ორგანიზაციული წესები,

რომ მით გაეადვილებია თავის მოყრა და თანამშრომლობა საზოგადოების ფართო წრეებისთვის ახალ პარტიაში, რომელსაც სურს შეინახოს, რამდენადაც ეს დღევანდელ პირობებში შეიძლება, ეროვნული დამოუკიდებლობა, ილტვის განამტკიცოს თავისი ეროვნული თავისებურებანი, დაიკოს მოქალაქეობრივი, პოლიტიკური, კულტურული და საზოგადოებრივი თავისუფლება, ხელი შეუწყოს იქნას სოციალური სამართლიანობის ინსტიტუტების მოწესრიგების.

მეორე მხრით შედევათ ამ ვაცხარებული მსჯელობის და ძიების, მოხდა შეთანხმება ყველა სხვა დანარჩენი პარტიების ხელმძღვანელთა, რომ დაარსებულ იქნას მათი პარტიებისაგან ერთი ეროვნული პარტია. პარტია ეროვნული ერთიანობის, რომელიც აიღებს თავის თავზე პასუხისმგებლობას სახელმწიფოს გაძლიერებაში. მოხდა გაერთიანება ყველა არსებული პარტიებისა (გარდა სოც.-დემ.), და წყვეტილი აგრარულ-რესპუბლიკანურ პარტიისაგან და თავებულთა ფაშისტური პარტიით, მათ შორის ეროვნულ სოციალისტური პარტია (ბენესის ყოფილი პარტია). პირველი როლი ამ გაერთიანებაში აქვს ყოველ აგრარულ პარტიას, რომლის წრეებში უქანასწელ წესს გამოისმა ხმა გერმანიანზე ორიენტაციის ასახლებათ და საბჭოთა კავშირთან პაქტის გასაუქმებლად. ადვილად წარმოიდგინეთ, რომ ამ პარტიის პოზიცია საგრძობლად გააძლიერა დღევანდელ ჩეხო-სლოვაკიის შინაურ ცხოვრებაში 30 სექტემბერს მიუხეზნეში მომხდარმა აქტმა. ამ პარტიის თავმჯდომარე რუდოლფ ბერანი არჩეულ იქნა ამ ეროვნული ერთიანობის პარტიის თავმჯდომარეთ. როცა ამ სტრიქონებს ეწერთ, მას ჩვენ უკვე გხედავთ ფედერატიულ ჩეხო-სლოვაკიის მთავრობის თავმჯდომარის პოსტზე.

ამრიგათ ჩეხიის პოლიტიკური ცხოვრება წარმოადგენილია დღეს ორ პარტიაში: პარტია მთავრობის და პარტია ოპოზიციის. აქვე უნდა აღვნიშნოთ რომ ჯერჯერობით არა ჩინი ჩამოყალიბებული დაწვერილებით არც ერთი ამ პარტიის პროგრამა, ის მომავლის საქმეა. ფაქტია, რომ ყველა ძველი პარტიები მეორე რესპუბლიკაში ითვლებიან დამოკლებად. ორი არსებული პარტიები პირდებიან ერთმანეთს თანამშრომლობას, რათა შეერტებული ძალებით იქნეს მატარებელნი ჩეხიის დემოკრატიის, რესპუბლიკის უზრუნველყოფის და ერის უანსალი განვითარების. ორი პარტიის სისტემა, აცხადებენ ისინი, აქვთ უდიდეს და უმკვიდრეს დემოკრატიებს—ინგლისს და ამერიკას. ყოველ შემთხვევაში პროცესი ამ ურთიერთობის მოწესრიგების ჯერ ჩამოყალიბებული არაა და ის საბოლოოდ გამოირკვევა ალბათ პრაქტიკულ საქმიანობის პროცესში. ყველაფერიდან ამკარაა, რომ ჩეხიის ხალხმა ამ დიდად კრიტიკულ მომენტში გადაარჩინა თავის თავი ანარქიის და სამოქალაქო ომისაგან, არ გადაეშვა უკიდურესობაში და ძველი პარტიებიდან გაეჭრთინელმა პოლიტიკურად და აღჭურვილმა დისციპლინით მამუც პარტიების საშუალებით გადავიდა ახალ თავდასაცავ პოზიციებზე.

რადგან პარტიების ლიკვიდაციაზე ვილაპარაკე-
უნდა მოვიხსენიო კომუნისტური პარტიაც. რომ-
ლის ბდი თქვენ აღზად უკვე იცი. მეორე რესპუ-
ბლიკის პირველ დღეებშივე მთავრობის განკარგუ-
ლებით შეჩერებულ იქნა მოქმედება კომუნისტური
პარტიის (სრულიად აკრძალვა მოხდებდა კანონის გა-
მოცემით). დათავდა სრულიად უნებართოდ ისტო-
რია უნახანკელი ლევალიური სექციის კომინტერნი-
სა საშუალო ვეროპაში. განდევნა პოლიტიკური
ცხოვრებიდან ამ პარტიის მიღებულ იქნა ყველას
მიერ როგორც სასარგებლო მოვლენა და თავის თა-
ვად საგულისხმო.

მსურს რამოდენიმე სტრუქტურაში მიანი ვად-
მოკვსოთ თუ რა მნიშვნელოვანი აქტებები მოხდა მეო-
რე რესპუბლიკის ცხოვრებაში ამ მოკლე, მაგრამ
დრამატიული მომენტებით სავსე დროში. ჩეხო-
სლოვაკიის სახელმწიფო ვარდამქნილ იქნა კანონ-
მდებლობის გზით, განსაკუთრებული კონსტიტუცი-
ონური კანონის მიღებით, ფედერატიულ რესპუბ-
ლიკათ; ის ამიერიდან არის ჩეხო-სლოვაკია, რის
ამ სახით დაწერა წინეთ კანონით ისჯებოდა. დღეს
ის ეკუთვნის სამ ერს: ჩეხებს, სლოვაკებს და უკრა-
ინელებს. ეს შეტანილ იქნა კონსტიტუციაში სათა-
ნადო ვარანტების მიღებით მისი შეცვლის ან გაუ-
ქმების თავიდან ასაცილებლად.

ჩემ წინა წერილში წვერდით, რომ ამ ავტონო-
მიურ პროვინციებში ცხოვრება და განვითარება
წყაა განსხვავებული თავისებური გზებით-მუქი-
დღეს ეს დიდად რეალური სინამდვილეა. სლოვაკიის
ყავს თავისი მთავრობა, დაყრდნობილ მხლოდ
ერთ პარტიანე-გლეხიკას სახალხო პარტია; ამ კა-
თოლიკური პარტიის დამაარსებელი არის პატერი
გლინკა; ეს პარტია არის დღეს ბატონ პატრონი ამ
ავტონომიურ კუთხის, ყველა სხვა პარტიებმა აკრ-
ძალდოა, გარდა გერმანულ უმცირესობათა ნაც-
სიკ. პარტიისა, რომლის მზგავსად ორგანიზაციუ-
ლად მოწყობილია თვით გაბატონებული პარტია.
ის უკვე შეუძღვა კონცენტრაციული ბანაკის მოწყო-
ბას მოწინააღმდეგეებისათვის.

განსაკუთრებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა ავ-
ტონომიური კარპატის უკრაინა. ის ჯანდა დღევან-
დელი ჩეხო-სლოვაკიის პოლიტიკურ-საერთაშორისო
ცხოვრებაში დიდ ფაქტორად. ეს ლაბაში, მთა-
ვრობანი და ტყინანი მხარე ძლიან დახარალდა ვე-
ნაში მომხდარი არბიტრაჟით. მან დაჰკარგა დიდი
მოსავლიანი ადგილები და კულტურული ცენტრები
(ორი დიდი ქალაქი). მისი სიკრეც დღეს უდრის 10 000
ოთხკუთხედ კილ. 660.000 მცხოვრებლებით, ამათგან
525.000 არის რუსინი-უკრაინელი (დანარჩენი: ებრა-
ენი, გერმანელები და შაიარები). უნით და ერო-
ვნულად კარპატის მცხოვრებნი რუსინები არიან ნა-
წილი უკრაინის ერის, მაგრამ პოლიტიკური მოტი-
ვებით უკრაინელთა ამ შტოს ხშირად აკუთვნებდენ
რუსებს. ესლაც მოწინავე ვართ იმის, რომ მისი ორი
მეზობელი სახელმწიფო ამლიერებ სხვადასხვა სა-
შუალებებით ამ გამწარებულ და ჩამორჩენილ კუთ-
ხეში რუსულ მიმართულებას. ამ დიპლომატიურ
თამაშს გადაჭრით ეწინააღმდეგება გერმანია და თუ

კარპატები. ეს ხიდი დასავლეთის აღმოსავლეთთან,
ჩეხო-სლოვაკიას ვერ ჩამოაშორეს, ეს უნდა მიეწე-
როს იმავე გერმანიის მიერ მიღებულ გადაჭრულ
ხომებს.

სახელწოდებამ—«კარპატის უკრაინა» უკვე მო-
იზოვა მოქალაქეობრივი უფლებად; კანონმდებლობით
ის პალატებმა ავტონომიის მიღების დროს დასტო-
ვეს ძველი სახელწოდება—კარპატის რუსეთი—იმ
პირობით, რომ მომავალი ადგილობრივი სემიმი,
რომელიც ხუთ თვეში იქნება არჩეული, თვითონ
დაადგენს სახელწოდებას მისი სურვილისამებრ.

ავტონომიურ კარპატის უკრაინასაც ყავს თავი-
სი მთავრობა, შედგენილი სამი პირისაგან. თავმჯ-
დომარე პატერი ვოლოშინი, 65 წლის დიდად პო-
პულარული უკრაინის პარტიოტი, მონათლულია
კარპატის უკრაინის იმამათი. დღეს ამ მხარეს უძლ-
ვებდა სამი უკრაინელი პარტიოტი. რუსული წარმო-
მადგენლობა კი სრულიად გამორიცხულია, რადგა-
ნაც პირველი თავმჯდომარე ავტონომიური კარპა-
ტების—რუსი, დეპუტატი ჩეხო-სლოვაკიის პარლა-
მენტის, ბროდი, აღმოჩნდა მოლაღატე. მომხრე კა-
რპატის შეერთების ვენერაისათ. გაჩრტყის დროს
მას აღმოუჩინეს რამოდენიმე მილიონი ვენგრის
ფულეები და დიდი საბრალმდებლო მასალები. ის
ენლა ელის ვასამართლებას პრაღის ერთ ერთ ციხე-
ში. კარპატის უკრაინაში აკრძალულია ყველა პო-
ლიტიკური პარტიები და მთავრობა ეყრდნობა უკ-
რაინელთა ეროვნულ საბჭოს.

გვინდა დავათვაზოთ: ორი თვის მოქმედება და
ცხოვრება მეორე რესპუბლიკის, რომელიც პირველ
დღეებში უფსკრულის პირობა იყო, დათავდა ამ დღე-
ებში ამ ახლად ვარდამქნილ სახელმწიფოებრივ ერ-
თეულის კონსოლიდაციით. რის დაგვირგვინებთ
ჩაითვლება პრეზიდენტის არჩევა ეროვნული ყრი-
ლობის მიერ. ახლად არჩეული 66 წლის პრეზიდენ-
ტი, კათოლიკე, ყოფ. თავმჯდომარე რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო სასამართლოსი, ფართო მასი
სთვის სრულიად უცნობი პიროვნება იყო დღემდის.
მთელი თავისი სიცოცხლე ჩეხო-სლოვაკიის მეორე
რესპუბლიკის პირველმა პრეზიდენტმა გაატარა სა-
ხელმწიფო სამსახურში, როგორც მოხელემ. ის არის
განსწავნილი და დიდად განათლებული იურისტი,
განასოდეს არც ერთ პარტიას არ ეკუთვნოდა და მი-
სი არჩევა დღევანდელი პირობების მიხედვით ერთ-
ხმად პირველი მოქალაქის თანამდებობაზე სრულიად
გასაგებია. პრეზიდენტი ემილ ღაბა არჩეულ იქნა 30
ნოემბერს და გუშინ კი მან მიანდო ახალი მთავრო-
ბის შედგენა ეროვნული ერთიანობის პარტიის თა-
ვმჯდომარეს რუდოლფ ბერანს. დღეს უკვე პრეზი-
დენტმა დაამტკიცა წარდგენილი სია როგორც ცენ-
ტრალური მთავრობის, ისე ავტონომიური რესპუ-
ბლიკების.

იწყება ახალი ეტაპი, რომლის დახასიათება იქ-
ნება ცალკე წერილის საგანი.

პრალა, 2 დეკემბერი.

ემ. ლამ-მე.



მ რ ვ ო ლ ე ბ ა

ძვირცხად თანამეცამუღწეო, ქართველნი!

უკვე ათეული წლები ვადის მას შემდეგ, რაც მწარე ბედმა საყვარელ მიწა წყალს მოგგვლიჯა და პირველად თხელი, მაგრამ დროთა განმავლობაში თანდათანობით შემრავლებული ქართველი ემიგრაცია გაფანტულია სხვადასხვა ქვეყნის მრავალ კუთხეებში; ამით შორის საფრანგეთში ყველაზე მეტია. ამ განცდის გზაზე, მიუხედავად ყოველი შევიწროებისა, ქართველი ისე არ დაცემულა, რომ თითოთ საჩვენებელი გამზდარიყოს და მით ჩირქი მიეცხოს თავისი ერის სახელისათვის.

მეორე მხრივ, თუ გადავხედვით განვიღო გზას უცხოეთში, არც არაფრით აღვგიბეჭდავს დაღი ჩვენი ყოფნა-ცხოვრებისა და კულტურული ხარისხისა, სხვის მიწა-წყალზე. რა ვიყავით, რა ვართ და რა ვიქნებით?..

რამდენი ახალგაზდა სიცოცხლე მოაზრო დედი ნაცვალმა ბუნებამ? რამდენ ჯერ კიდევ ხუჭუჭუ თმიანს დაუბნელა სიცოცხლით აღსავსე თვალები? რამდენი შეიპყრო განუკურნებელმა სენმა და იმსხვერპლა კიდევ?

... და ეს საბრალო მსხვერპლნი რა იმედით ხუჭავენ უკანასკნელად თვალს? დაუტირებელნი და განუკითხავნი—ნუ თუ იმ იმედით, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ მათ ძვლებს ზევით ამოპყრიდნენ, რა გორც უფლება აყრილთ და ერთხელ კიდევ ჩასახებდნენ: «დევნილი ხარ არა მარტო შენი ქვეყნიდან, არამედ მიწიდანაც!»

ნუ თუ, ქართველო მეთვისტომე! ისე დაგვიჩლუნდა თვითულ ჩვენთაგანს გრძნობა, რომ აღარ იმჩნევს საყვედურს შეურაცხყოფილი მოძმის ძვლებისას?..

ნუ თუ საბრალო ჩვენი თავი ღირსი არ არის ამ ქვეყანაზე ორი ალაბი მიწისა?

ქართველნი! ქალწო და კაცნი! დიდო და პატარავ! ისმინე ვედრება ბედშავ მოძმისა, ძვლების დაღი, მოუპოვოთ უფლება «ორი ალაბი» მიწისა!

შევიძინოთ საკუთარი სასაფლავო, მოვავროვოთ ჩვენი უპატრონო მიცვალბებულები ერთად და მოუაროთ მშობლიური გრძნობით მათ საუკუნო განსასვენებელს.

ნ. ვეჟუაძისა.

მანათი ნინოშვილის ღღე

4 დეკემბერს პარიზის სოციალდემოკრატიული ორგანიზაციის ლიტერატურულმა წრემ გამართა ეგნატე ნინოშვილის მოსალოანრი დღე ნოე ჟორდანის საპატიო თავმჯდომარეობით.

კრება გაიხსნა ამახ. გრ. წერეთელის მოკლე და მოხდენილი შესავალი სიტყვით. ეგნატეს დაწვრილებითი ბიოგრაფია წაიკითხა ამახ. ვ. ლლონტმა; მისი ლიტერატურული შემოქმედების შესახებ ვრცელი და შინაარსიანი მოხსენება გააკეთა ამახ. პ. სარჯველაძემ; ეგ. ნინოშვილი პუბლიცისტი და პოლიტიკური მოღვაწე—ამხ. გრ. ურატაძე; ეგნატეს შესახებ მოგონებანი—ამხ. ზ. ჩიჩუა და ამახ. ვლასა მგელაძე; დაბოლოს ნოე ჟორდანიამ კრებას უამბო მისი ახლა პირადი დამოკიდებულება ეგ. ნინოშვილთან და დაახასიათა მისი პიროვნება.

ამ დღეს საზოგადოებამ ბლომად დაეწრო და ის ნასიამოვნები დაიშალა.


სამგლოვიარო ფურცელი

კვირას, 11 დეკემბერს, ნაშუადღევს სამ საათზე Bagnex-ს სასაფლაოზე გადახდილ იქნება ნ. რამიშვილის სამოქალაქო პანაშვიდი. მოკლე სიტყვა წარმოთქვა ამახ. ტარ. წულაძემ.

— კვირას 18 დეკემბერს თორმეტ საათზე უკრანელეების ეკლესიაში გადახდილი იქნება პანაშვიდი ს. მდივნის გარდაცვალების წლის თავის აღსანიშნავად.

— ამაწლის 30 აგვისტოს, პარიზის (ნეკერის) საავადმყოფოში გარდაიცვალა ვასო თოთიბაძე. განსვენებული დასაფლავებულ იქნა სოფ. ლევილის სასაფლაოზე 3 სექტემბერს.

— 9 ნოემბერს ბერლინში გარდაიცვალა ჩვენი ამხანაგ ერეთეოზ რამიშვილის მეუღლე ოლღა.



„ბრძოლის ხმა“-ს მისპედიციი

სთხოვს ხელის მომწერთ მათზე დარჩენილი გახეტის ფული გამოგზავნონ შემდეგი მისამართით:

M-r Eradzé
10, rue Jules Ferry, Leuville-s-Orge (S.-et-O.)
France.

ამავე მისამართით შეიძლება გახეტის გამოწერა.